

"24 საათის" ფიქიანი ნომერი  
**\*2424**

პრასომბუდსენი

A3



**"დიდი ოცაული"**  
სამიტი -  
ანტიკრიზისული  
დონისიკიატა  
კაკატი

A7



**"ოტარი" და სხვა  
კიასაბი - იყიდაა  
კარიზი**

A10

Lasha Boughadzé

**OTAR**  
et autres pièces

**24 საათი**

"24 საათის"  
ელექტრონული ვერსია  
იხილეთ Web-გვერდზე  
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

## პერიბება რუსულად

მოსკოვის "კონსტრუქციული" წინადადებები

დმიტრი ავალიანი

ევროკავშირის შემორიგების შემდეგ კრემლი ცდილობს, აშშ-სთან და ნატო-სთან ურთიერთობები აღადგინოს. ვაშინგტონში ყოფნისას რუსეთის პრეზიდენტმა "კონსტრუქციული წინადადებებით" აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მიმართა. კრემლი მზად არის საქართველოსთან ურთიერთობის აღსადგენად, ოღონდ, რასაკვირველია, არა "არსებულ რეჟიმთან".

შემრიგებლური ინტონაციები დასავლეთის მისამართით რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მხრიდან ვაშინგტონში, აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გაისმა. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთი მზადაა, დაიწყოს ურთიერთობების დარეგულირება საქართველოსთან, თუმცა, მისი თქმით, "ურთიერთობა საქართველოს ამჟამინდელ რეჟიმთან" გამორიცხულია. მედვედევის თქმით, "თბილისის რეჟიმმა დანაშაული ჩაიდინა და მასთან ურთიერთობა ის წითელი ხაზია, რომელსაც რუსეთი ვერ გადალახავს." რუსეთის პრეზიდენტის მტკიცებით, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის



საერთაშორისო ფორუმები რუსეთისთვის საქართველოს ტერიტორიის ანექსიის დაკანონების მცდელობას და მოსკოვისთვის გავლენის სფეროების "გაფორმებას" ემსახურება.

დამოუკიდებლობის აღიარება მისთვის "რთული ნაბიჯი" იყო. განსაკუთრებულ იმედებს ოფიციალური მოსკოვი აშშ-ს ახალ ადმინისტრაციაზე ამყარებს. "ჩვენ მივესალმებით ბარაკ ობამას არჩევას და მისი შემდგომი ნაბიჯების იმედი გვაქვს იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც ჩვენს ურთიერთობებში

დაგროვდა," - განაცხადა მედვედევმა. იგი შეეხო თავის მუქარასაც, აშშ-ს მიერ პოლონეთში რაკეტსანიანაღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგების საპასუხოდ პოლონეთის საზღვრებთან რუსული ტაქტიკური რაკეტების "ისკანდერის" განთავსების შესახებ. მისი განცხადებით, ეს არ მოხდება, თუ აშშ რაკეტსანიანა-

ღმდეგო თავდაცვის საკითხში დათმობებზე წავა. "ჩვენ ვიმოქმედებთ მხოლოდ საპასუხო ნაბიჯებით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რაკეტსანიანაღმდეგო თავდაცვის პროგრამა ჩვენთვის მიუღებელი სახით გაგრძელდება," - განაცხადა მედვედევმა.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

### აზბაბი კონფლიქტის რაბიონებიდან

საჩხერის რაიონის სოფელი პერევი ოსმა სეპარატისტებმა დატოვეს. აფხაზეთში კი ვითარება დაიძაბა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონში პატრულირება გაძლიერდა. ამასთანავე, რაიონის დაბალი ზონის სოფლებში რუსული ჯარის დამატებითი ნაწილები შეიყვანეს.

ოსებმა პერევი დატოვეს

ოსმა სეპარატისტებმა საჩხერის რაიონის სოფელი პერევი 15 ნოემბერს საღამოს დატოვეს. პროცესმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა. შეიარაღებული ოსები ჯავის ტერიტორიაზე დაბანაკდნენ. საჩხერის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე, ასევე პერევის მოსახლეობა, ოსების გასვლას დადებითად აფასებენ. თუმცა, ისინი აღნიშნავენ, რომ ხალხი მაშინ დამშვიდდება, როცა სოფელს რუსი ოკუპანტებიც დატოვებენ. პერევი ამ დროისთვის თითქმის დატოვდა. სოფელი ადგი-

ლობრივებმა ოსი სეპარატისტების შიშით დატოვეს. პერევიდან ოსების გასვლას საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზიც გამოეხმაურა და მომხდარის გამო კმაყოფილება გამოთქვა. "ეს ფაქტი მიმყარებს აზრს იმის შესახებ, რომ დმიტრი მედვედევი სწორედ ის პარტნიორია, რომელთანაც საქირია დიალოგის წარმართვა," - განაცხადა სარკოზიმ "დიდი ოცეულის" სამიტის ფარგლებში გამართულ პრეკონფერენციაზე.

აფხაზეთმა ქართველებს გაათავისუფლეს, ოსებმა - დააკავეს

15 ნოემბერს აფხაზეთმა გალის რაიონის სოფელ საბერიოში დაკავებული რამდენიმე ქართველი გაათავისუფლეს. ამ ინფორმაციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთში პაატა შამუგია ავრცელებს.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

### ბურჯანაძის ყოფილი თუ ახლანდელი საყრდენი ქუთაისის მთავრობაში

მაია მაცხვარიშვილი ქუთაისიდან

მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდს გაემიჯნა, ცვლილებების მოლოდინში არიან ქუთაისის თვითმმართველობაშიც. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს პარლამენტში სწორედ ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა. თუმცა, მანამდე იგი შევარდნაძის მთავრობასთან დაახლოებული პირი იყო და ქუთაისის საკრებულოს მდივნობა სწორედ "მოქალაქეთა კავშირის" ეგიდით ჩაიბარა. შემდეგ მიხილ სააკაშვილის ახალშექმნილ "ნაციონალურ მოძრაობაში" გადაბარდა და ამ პარტიის სახელით 2002 წელს ქუთაისის მერობისთვის კენჭიც კი იყარა. თუმცა, არჩევნებში ნაგემი მარცხის შემდეგ ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გადაინაცვლა, როგორც ქალბატონი ნინოს მშობლიური სკოლის მოქმედმა დირექტორმა.

რობის" ეგიდით მონაწილეობაზე. მის კვალს მიჰყვა ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატად დასახლებული გიორგი გეგელაშვილიც. სამაგიეროდ, მსგავსი რეაქცია არ ჰქონია გოჩა თევდორაძეს, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს პარლამენტში სწორედ ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა. თუმცა, მანამდე იგი შევარდნაძის მთავრობასთან დაახლოებული პირი იყო და ქუთაისის საკრებულოს მდივნობა სწორედ "მოქალაქეთა კავშირის" ეგიდით ჩაიბარა. შემდეგ მიხილ სააკაშვილის ახალშექმნილ "ნაციონალურ მოძრაობაში" გადაბარდა და ამ პარტიის სახელით 2002 წელს ქუთაისის მერობისთვის კენჭიც კი იყარა. თუმცა, არჩევნებში ნაგემი მარცხის შემდეგ ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გადაინაცვლა, როგორც ქალბატონი ნინოს მშობლიური სკოლის მოქმედმა დირექტორმა.

ბაზრძალაბა A4 გვერდზე



ორი სიტყვით

მოსკოვი. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში მოსკოვში ყოფნისას რუსულ მხარესთან ეკონომიკურ საკითხებს განიხილავს. ინტერპრესნიუსი

თბილისი. დეკემბერში, ახალი ადმინისტრაციის ფორმირების შემდეგ, აშშ-ში გამგზავრებას გეგმავენ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე და პარტია "საქართველოს ზღის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. პირველი

თბილისი. მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა, რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად, თანხა შეაგროვეს და საქართველოში გადმოიტანეს. ჯი-ეი-ენი

თბილისი. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გუშინ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ვიცე-სპიკერი რუსუდანი კერვალიშვილი და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი შეხვდნენ. პირველი

გიგა ბურდულის ხსოვნას



ძალიან ვცდილობთ ამ მიმედ მომენტში წამდვილად სევდიანი, მაგრამ მინც ჩვეული ფრაზები ავირიდოთ თავიდან. არაჩვეულებრივი, არაორდინალური, უნიჭიერესი ადამიანი - გიგა ბურდული წავიდა უდროოდ ამ ქვეყნიდან. ჩვენი სახელმწიფო დიპლომატიის სათავეები საუკუნეებში იკარგება, მაგრამ დღევანდელი სახით ის ოციოდ წელი არცაა, რაც არსებობს, ახალგაზრდაა ერთობ. ამდენად ჩვენს გილდიას დააკლდა კაცი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი საქმიანობის სათავეებთან იდგა, არამედ ერთ-ერთი იმთავანი იყო, ვინც შექმნა თანამედროვე საგარეო სამსახური.

გიგა ბურდულთან ერთად ჩვენთვის ალბათ დიდი და რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დამთავრდა. უცნაური ტკივილის განცდა გვაქვს. დათრგუნულები ვართ უკლებლივ ყველა.

საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიურ წრეში სანთლით რომ ეძებოთ, გაგიჭირდებათ ნახოთ ადამიანი, გიგა ბურდული არ სმენოდეს. უფრო მეტიც, მაღლიერი არ იყო მისი. მთელი ამ წლების მანძილზე არიგებდა გიგა პროფესიონალიზმს, სიტბოს, ლიმბოს, იუმორს, ადამიანობას, მეგობრობას, თანადგომას.

მართლაც ძალიან ნიჭიერი, ნათელი გონების კაცი იყო. თითქმის ინსტიქტის დონეზე ჰქონდა აყვანილი პროფესიული ჩვევები. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული დასაბამიდან გაუთავებელ ბრძოლაში ჩამოყალიბებული ქართული დიპლომატიის ყველა მნიშვნელოვანი წარმატება.

გიგა იყო უმაღლესი სინჯის პროფესიონალი და ნაღდი პატრიოტი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ საყვარელი შენობა, ქართული სახელმწიფო დროშებით და მოლაპარაკებების ოთახებით, ჩვენთვის დაცარიელდა თითქოს.

წარმოვიდგენია, როგორ დააკლდა გიგა ბურდული ჩვენს თბილისს, თავის ოჯახს, სამეგობროს და სანათესაოს. ჩვენ კი კიდევ ბევრჯერ გაიხსენებთ მის სახელთან დაკავშირებულ წარმატებებს, იუმორით სავსე ისტორიებს. მისი სიტბო და კაცობა გვემახსოვრება მუდამ.

გვიხარია ამ ერთ პატარა წერილში ჩვენი ტკივილი, გულწრფელი მწუხარება ჩაგვეტია, ალბათ ვერც შევძელით ეს. თუმცა ერთ პირობას კი გაძლევათ, ჩვენო გიგა, ჩვენთან ერთად იქნები სულ!

მეგობრებისა და კოლეგების ჯგუფი

პერიგება რუსულად

პირველი გვერდიდან

“ეს საკითხი დახურული არ არის და მე პირადად მზად ვარ მის განსახილველად. იმედი მაქვს, ასეთი სურვილი აშშ-ს ახალ პრეზიდენტს და ახალ ადმინისტრაციასაც ექნება. ის სიგნალები, რომლებიც მივიღეთ, გვაფიქრებინებს, რომ ისინიც ფიქრობენ ამ პრობლემაზე,” - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

მან შემოიგებლური განცხადებები ნატო-ს მისამართითაც გააკეთა. აღიანსმა რუსეთთან თანამშრომლობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება აგვი-

სტოში, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის გამო მიიღო.

“არასოდეს თქვა არასოდეს,” - ასეთი პასუხი გასცა მედედევემა შეკითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთი ნატო-ს წევრი გახდეს.

“ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ჰქონდა შესაძლებლობა, რუსეთი მიეწვია. დღეს სიტუაცია სხვაგვარია. მაგრამ ჩვენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ნორმალური ურთიერთობა გვსურს და მზად ვართ მასთან პარტნიორობის განვითარებისთვის,” - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

რაც შეეხება ნატო-რუსეთის საბჭოს, რომლის საქმიანობაც, აღიანსის გადაწყვეტილებით, საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო შეჩერდა, მედედევის თქმით, ამ საბჭოს “აქვს პოტენციალი.” გარდა ამისა, მედედევემა აღნიშნა, რომ მოსკოვი მზადაა აღიანსთან თანამშრომლობის “დამატებითი ფორმებიც” განიხილოს.

მედედევემა აშშ-სა და ნატო-ს ევროპაში უსაფრთხოების შესახებ ახალი ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილეობა შესთავაზა. მანამდე რუსეთის ამ წინადადებას დადებითად ევროკავშირი

გამოეხმაურა. ორგანიზაციაში აღნიშნეს, რომ ახალი ხელშეკრულება “იქნება საშუალება რეგიონში თანამედროვე გამოწვევებთან ბრძოლის საკითხების განსახილველად.”

სინამდვილეში, როგორც ჩანს, რუსეთის სწრაფვა დასავლეთთან შერიგებისკენ, ასევე ევროპაში უსაფრთხოების შესახებ ახალი ხელშეკრულების ინიციატივა, საქართველოს ტერიტორიის ანექსიის დაკანონების მცდელობას და მოსკოვისთვის გაკლენის სფეროების “გაფორმებას” ემსახურება, რასაც რუსეთი დასავლეთისგან დიდი ხანია, ითხოვს.

ამბები კონფლიქტის რეპრონაზიდან

პირველი გვერდიდან

სამაგიეროდ, დაკავებული რჩება კიდევ ერთი ქართველი, ნალენჯიხის მკვიდრი, რომლის ვინაობაც ქართული მხარე ამ ეტაპზე ადგენს. პაატა შამუგიას განმარტებით, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის გაათავისუფლებენ მას.

ოსმა სეპარატისტებმა კი გუშინ ორი ქართველი დააკავეს. როგორც სააგენტო “ინტერფაქსი” იუწყება, ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იბრაგიმ გასევემა განაცხადა. “დაახლოებით, დღის 12:00 საათზე სოფელ კორკულაში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს - ტრისტან გუგუტიშვილი და ვასილ სიმონიშვილი. ისინი ხაშურის რაიონის მცხოვრებნი არიან. ვითარების გასარკვევად დაკავებულები ამჟამად სამხრეთ ოსეთის სამართალდამცვე ორგანოებში იმყოფებიან,” - განაცხადა გასევემა.

აფეთქება სოხუმში

15 ნოემბერს ღამით სოხუმში დაუდგენელმა პირებმა ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონის ავტომობილი ააფეთქეს. ამის შესახებ რუსული მედია დე ფაქტო შსს-ს ინფორმაციის მიხედვით იუწყება.

“ინტერფაქსის” ცნობით, აფეთქება სასტუმროს ეზოში მოხდა. ინციდენტის შედეგად

არავინ დაშავებულა. საქმეს აფხაზეთის დე ფაქტო პროკურატურა იძიებს.

ერთ-ერთი ვერსიით, აფეთქება აფხაზეთში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას უკავშირდება.

აფხაზეთმა ქართველი პოლიციელი იმსხვერპლეს

ნალენჯიხის რაიონში პატრულირებისას აფხაზური მხრიდან განხორციელებული სროლების შედეგად ქართველი პოლიციელი ზურაბ ჯეჯელავა დაიღუპა.

“შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებს ნალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანდთან ქარალალის მიმართულებით პატრულირებისას ცეცხლი გაუხსნეს. აფხაზები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, თუმცა ადგილზე დარჩათ ნაღმები, რომლითაც, როგორც ჩანს, ტერიტორიის დანალმვას აპირებდნენ,” - აცხადებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აღნიშნული ფაქტი სამეგრელოს რეგიონში მყოფმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა და გაერო-ს დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს.

მომხდარის შესახებ აფხაზური მხარე განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს. კერძოდ, გალის რაიონის აფხაზური

ხელისუფლების ხელმძღვანელ რუსულან ქიშმარიას განცხადებით, სოფელ საბერიოსთან, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მოხდა შეტაკება აფხაზ “მესაზღვრეებსა” და ქართულ “დივერსიულ ჯგუფს” შორის.

“წინასწარი მონაცემებით, ერთი დივერსანტი მოკლულია, ხოლო ორი დაჭრილი, - განუცხადა “ინტერფაქსს” ქიშმარიამ, - ქართულმა დივერსიულმა ჯგუფმა შეტაკების შემდეგ საქართველოს ტერიტორიისკენ დაიხია.”

დაძაბულობა გალში

გალის რაიონში განსაკუთრებული დაძაბულობა შეინიშნება. გალის ზედა სოფლებში აფხაზი სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები ერთობლივ რეიდებს აწყობენ. “ისინი მოსახლეობას ქართულ პასპორტებს ართმევენ,” - განაცხადა გუშინ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ.

ანალოგიური რამ მოხდა რამდენიმე დღის წინაც. გალის რაიონის სოფლებში პირველ გალში, ნარინჯოვანში, საბერიოსა და ლუმურისში რეიდები ჩაატარეს და მოსახლეობას ქართული პასპორტები და ქართულ ქსელში ჩართული ტელეფონები ჩამოართვეს.

სააგენტო “ინტერპრესნიუსის” ცნობით, გუშინ გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში რუსული ჯარის დამატებითი ნაწილები შეიყვანეს.

„იმდენი სამხედროა შემოყვანილი, რომ მათი რაოდენობის დაახლოებით განსაზღვრაც კი ძნელია. ჯერჯერობით დამატებით მხოლოდ რუსები შემოიყვანეს და აფხაზური მილიციის ან უშიშროების სამსახურის ძალები არ დაუმატებიათ,” - იუწყება სააგენტოს წყარო. იგივე წყარო განმარტავს, რომ გალის რაიონის მოსახლეობა გარეთ გასვლისა და გადაადგილებისგან თავს იკავებს.

გუშინვე რუსი ოკუპანტები სოფელ ოქუშში შევიდნენ. მათ სოფლის შესასვლელი ჩაკეტეს. გუშინ დილითვე რუსი სამხედროები ოქუნამდე განლაგებულ გალის რაიონის რამდენიმე სოფელში შეიჭრნენ, სოფლები ჩაკეტეს და ადგილობრივი მოსახლეობის ჩხრეკა დაიწყეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპანტები სკოლებში ქართულ ლიტერატურას ანადგურებენ და სანაცვლოდ რუსული წიგნები შეაქვთ, რომლებიც სეპარატისტული აფხაზეთის განათლების სამინისტროს მოსკოვის მერიამ ლუჟკოვის ბრძანებით გამოუგზავნა.

გუშინვე გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა გალის რაიონის კიდევ ერთი მცხოვრები პაატა გოგოხია გაიტაცეს. დღემდე ტყვეობაში იმყოფება სოფელ საბერიოდან გატაცებული სკოლის მასწავლებელი ზაურ ახალაია.

საკუთარი ინფორმაცია

მაღალი რანგის სტუმარი ევროსაბჭოდან

გუშინ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე, კორიენ იონკერი (ნიდერლანდები) ესტუმრა.

საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენლობის ინფორმაციით, კორიენ იონკერი საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ მიღებული 1663-ე რეზოლუციის შესრულების მონიტორინგის მიზნით ეწევა.

იონკერი თბილისში შეხვედრებს გამართავს საქართველოს ხელისუფლებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მიგრაციის ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე აფხაზეთსა და

სამხრეთ ოსეთშიც ჩავა. იონკერი მისი ვიზიტის შედეგებზე მოხსენების პროექტს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტს 11 დეკემბერს წარუდგენს.

ჯი-ეი-ენი

გაზეთი "24 საათის" გამოცემის პერიოდში: რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუშაბიძე.

რედაქცია: სოფო ქილაშინა (რედაქტორი), ლევან ლინიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო ქილაშინა (რედაქტორი), კახა ფარუშაშვილი (სპორტი). რედაქციაში: ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი. რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge







# ბურჯანაძის ყოფილი თუ ახლანდელი საყრდენი ქუთაისის მთავრობაში

პირველი გვერდიდან

## საქართველოს პატრიარქმა ხელისუფლებას სამუშაო ადგილების შექმნა ურჩია

გუშინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამეფოს საკათედრო ტაძარში ქადაგებაზე მადლობა გადაუხადა მრევლს ამ დღეებში მის ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის და ლოცვისთვის. ქადაგების დასასრულს პატრიარქმა ახალ პრემიერს გრიგოლ მგალობლიძეს, რომელიც ტაძარში იმყოფებოდა, რამდენიმე რჩევა მისცა და აღნიშნა, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და ხალხის დასაქმება უნდა იყოს. "ჩვენ მოხარული ვართ, რომ დღეს ჩვენთან ეკლესიაში ბრძანდება საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მე მივხატვარ ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალგაზრდა პიროვნებაა, ხალხმა უკვე შეიყვარა იგი და მისი იმედი აქვთ. უპირველეს ყოვლისა, ხალხს უნდა დაეცხმართ. დავეცხმართ იმით კი არა, რომ სურსათი და ფული მიეცეთ, სამუშაო ადგილები უნდა გაუფინოთ. აი, მე ახლა ჩამოვედი გერმანიიდან და ვნახე ჩვენი ქართველები როგორ წვლობენ. ზოგიერთი არაღვთაურად არის გადასული, ზოგიერთი სხვისი პასპორტით ცხოვრობს და ყველას ძალიან უნდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამბობენ, რა უნდა ვაკეთოთ, სამსახურები არ არისო", - განაცხადა ქადაგებაზე ილია მეორემ. ახალმა პრემიერმა გრიგოლ მგალობლიძემ მადლობა გადაუხადა ილია მეორეს, რომ საქართველოსთვის რთულ დღეებში პატრიარქი ყოველთვის ერის გამაერთიანებელი იყო. "დასაქმების პრობლემა, რაც პატრიარქმა ბრძანა, ის არის, რაც დღეს რეალურად ხალხს აწუხებს. ხალხს დღეს აწუხებს უმუშევრობა. ყველაზე უფრო კარგად ეს ემისი პატრიარქს, მეც მესმის, რამდენად რთულ დღეშია ჩვენი მოსახლეობა. ამიტომ დასაქმების პრობლემის აღმოფხვრა იქნება ჩემი მთავარი პრიორიტეტი", - განაცხადა გრიგოლ მგალობლიძემ.

მედიანიუსი

## გიორგი თარგამაძე საქართველოს ხელისუფლებას მოთმინებისკენ მოუწოდებს

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის აზრით, კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში დროის გაყვანის პოლიტიკა დღეს საქართველოს ინტერესებშია და ხელისუფლება ვალდებულია, არსებულ ფეთქებადსაშიშ ვითარებაში მაქსიმალური მოთმინებით აღიჭურვოს. თარგამაძე აქცენტს ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო ადმინისტრაციის შეცვლის პროცესზე აკეთებს და აცხადებს, რომ ვიდრე ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ქმედითუნარიანი არ გახდება და არ გამოიკვეთება მისი პოლიტიკური კურსი, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს პერიოდი მშვიდად გაიაროს და რუსეთს მორიგი აგრესიის დანწყობის საბაზი არ მისცეს. "დღეს ამერიკაში ადმინისტრაციების ცვლილების პრობლემაში ვეროპა ერთი-ერთზე დარჩენილი რუსეთთან პირისპირ და ეს ფაქტორი მას საგრძნობლად ასუსტებს. აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შემდეგ ვეროპის პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიური გახდება", - აღნიშნავს თარგამაძე. ამასთან, დეპუტატი მიიჩნევს, რომ თავად ვეროკავშირი რუსეთთან მიმართებაში სწორ გზას ირჩევს და საქართველოს ხელისუფლებას "ვეროპელებსავე თუ საკუთარი პოლიტიკის რაციონალურად, ცივ გონებაზე დაგვიგმვას" ურჩევს.

"სწორედ იმის გამო, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტებს საკუთარი ისტორიის არცერთ ეტაპზე დიდად არ უღირდათ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლე და მათი ინტერესები, მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთი ძალიან საშიში პარტნიორია", - შენიშნავს თარგამაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ რუსეთი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სტატუს-კვოს და არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონტინგენტის შესამცირებლად. ამასთან, შეინარჩუნებს ფეთქებადსაშიშ ვითარებას პერევეში, ახალგორში და სამეგრელოს ტერიტორიაზე.

პირველი

## პროტესტის ნიშნად - პოლიტიკაში წასვლა

საპატრიარქოს ტელევიზიის ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე პოლიტიკაში მიდის. იგი ამ გადაწყვეტილებას ხელისუფლების მხრიდან საპატრიარქოსთვის სიხშირის მიცემაზე უარის თქმას უკავშირებს. "მე არანაირი შანსი არ დამიტოვებს. საპატრიარქოს ტელევიზია შეიძლება დახურულიყო. ამიტომ, გადავწყვიტე პოლიტიკური მეტოდებით ვიბრძოლო, როგორც საპატრიარქოს ტელევიზიისთვის, ისე სიტყვის თავისუფლებისთვის და ზოგადად დამოუკიდებელი ტელევიზიების შესაქმნელად", - აღნიშნავს გიორგი ანდრიაძე. როგორც ცნობილია, მ თებერვალს, პატრიარქის კურთხევაში, დაფუძნდა "ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობა", რომელშიც საზოგადო მოღვაწეები არიან განვერდიანებული. ანდრიაძეს კონსულტაციები ექნება როგორც ამ მოძრაობასთან, ისე პოლიტიკურ პარტიებთან. "ახლა საჭიროა ძალთა კოალიცია, გაერთიანება. კონკრეტულად თუ რომელი პოლიტიკური სპექტრთან ვიქნებით, ამას ცოტა ხანში გადავწყვეთ. ჩვენ გვერდით დგას საქართველოს პოლიტიკური პარტიების მთელი სპექტრი", - განაცხადა გიორგი ანდრიაძემ.

მედიანიუსი

ამ გზით 2004 წლის მონვევის პარლამენტშიც შეაღწია და ბურჯანაძისა და მისი ოჯახის დიდი ნდობის მოპოვებაც მოახერხა. ქუთაისის ყოველი ახალი მერი, ძირითადად, სწორედ მისი ღია თუ ფარული მონაწილეობის შედეგად იცვლებოდა. თედორაძის ასეთ ნარმატივებს ხელს ისიც უწყობდა, რომ იგი მაჟორიტარი დეპუტატისგან ნდობით აღჭურვილ პირადაც მიიჩნეოდა და თან "ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. პოსტის დაკავებაც მოახერხა. ამჟამად თედორაძე ირწმუნება, რომ ერთადერთი "სახატე" ჰყავს და ეს "ნაციონალური მოძრაობაა".

"ცხადია, ქალბატონ ნინოს თავისი პოზიცია ექნება. მე ჩემი პოზიცია გამოსატყულები მაქვს იმ კუთხით, რომ ვარ "ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის წევრი, ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე. ქალბატონ ნინოსთან ერთად ნინა მონვევის პარლამენტში შევედი, ეს მართალია. შემდგომი მონვევის პარლამენტში ქალბატონმა ნინომ თავად თქვა უარი ამ სიაში ყოფნაზე, მე უარი არ ვაძინებდი და ვარ პარლამენტში", - ამბობს გოჩა თედორაძე.

კიდევ ერთი ფიგურა, რომლის სახელიც, ასევე, ნინო ბურჯანაძესთან ასოცირდება, ირაკლი ბერაძეა. იგი ქუთაისის თვითმმართველობაში "ვარდების რევოლუციას" მოჰყვა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად დაინიშნა. თუმცა, მისი ერთადერთი დამსახურება იმ პერიოდში ის იყო, რომ ბურ-

ჯანაძის დედაშვილი გახლდათ. ამ დამსახურებისთვის ქუთაისის მერიაში 5 წელი გაატარა და 6 მერი გამოიცვალა, არადა, ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ მის მიმართ გამოითქმებოდა. ქუთაისისთვის გამოყოფილი მილიონიანი სპეცტრანსფერები კი სწორედ ბერაძის სამსახურში იყრიდა თავს და ნაწილდებოდა.

ირაკლი ბერაძე ქუთაისის საქალაქო მერხრომის სამსახურის პოსტს მაშინვე ჩამოშორდა, როგორც კი ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას გაემიჯნა - ჯერ შევხულებამი გავიდა, შემდეგ კი ყოველგვარი ხმაურის გარეშე სახლში წავიდა.

"ვარდების რევოლუციას" ქუთაისის მერიაში ნინო ბურჯანაძის თანაკლასელების კოლონაც მოჰყვა, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობებზე დასაქმდნენ, თუმცა დღეს მათ უმრავლესობას ქუთაისის მერიად უკვე ვეღარ შევხვდებით. ნინო ბურჯანაძის თანაკლასელთაგან ამ დროისთვის მნიშვნელოვან პოზიციას საკრებულოს დეპუტატი ვლადიმერ (ნუკრი) კვერნაძე ინარჩუნებს.

"ვადსტურებ იმას, რომ 1971 წლიდან მე და ქალბატონი ნინო ერთად მოვდივართ, ჩვენ ვართ მეგობრები და მეგობრებად დავრჩებით, თუმცა რაც შეეხება პოლიტიკურ განწყვეტილებებს, მე ვარ "ნაციონალური მოძრაობასთან", - აცხადებს ნუკრი კვერნაძე.

ქუთაისის საკრებულოს "ლეიბორისტი" დეპუტატი ირწმუნება, რომ ფაქტობრივ უმრავლესობას ქუთაისის თვითმმართველობაში ახლაც ნინო ბურჯანაძე ფლობს და არა "ნაციონალური მოძრაობა".

"ესენი არიან: საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგიანი, საკრებულოს მდივანი თამაზ მარგველაშვილი, საკრებულოს წევრები ნესტორ ფრუიძე და ნუკრი კვერნაძე," - ამბობს სამსონ გუგავა.

თამაზ მარგველაშვილი ოთხი წლის მანძილზე ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ანუ ნინო ბურჯანაძის ბიუროს ხელმძღვანელობდა. ცოტა ხნის წინ კი მან "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის" თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა: ოფიციალურად - საკუთარი განცხადების საფუძველზე, არაოფიციალურად - ამბობენ, ზენოლის შედეგად, თუმცა თავად მარგველაშვილი მასზე რაიმე ზენოლის განხორციელების ფაქტს არ ადასტურებს.

"ბატონი თამაზი თავისივე განცხადებით წავიდა და წავიდა ქალბატონი ნინოს მიერ გაკეთებულ განცხადებამდე გაცილებით უფრო ადრე. მე თავის დროზეც მქონდა თამაზთან შეკითხვა, თუ რამდენად მოახერხებდა და ეყოფოდა მას დრო, რომ საკრებულოს მდივნის მოვალეობის პარალელურად შეესრულებინა ამ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა. ეს არ უკავშირდება იმას, რომ ის იყო ნინო ბურჯანაძის ბიუროს უფროსი და თქვენ დაინახავთ ხვალ და ხვდ, რომ ეს ვერ და არ დაუკავშირდება ამას, რადგან მე და ბატონი თამაზი ერთად ვსხედვართ ახლა და ასე ვაპირებთ

მომავალშიც," - ამბობს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე.

ვინ რას აპირებს მომავალში, ამაზე განსხვავებული პროგნოზები აქვს საკრებულოს ოპოზიციას: "ნინო ბურჯანაძეს მნიშვნელოვანი დასაყრდენი ეყოლება ქუთაისში. საკრებულოს თავმჯდომარე და ქალაქის მერი მისი გუნდის წევრები არიან," - ამბობს სამსონ გუგავა.

"მე ვარ იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელსაც ჰქვია საქართველო. ნინო ბურჯანაძე იყო პარლამენტის თავმჯდომარე, საოცრად ჭკვიანი და გონიერი ქალბატონი და მას აქვს თავისი პოლიტიკური შეხედულებები. მე ვარ ხელისუფლების წარმომადგენელი," - აცხადებს ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ხვადაგიანი.

ხვადაგიანისგან განსხვავებით, ჩვენმა შეკითხვამ ძალიან გააღიზიანა ქუთაისის მერი ნუგზარ შამუგია, რომელსაც ტელეფონით დაუკავშირდით და ვკითხეთ, რჩება თუ არა ის დღემდე ნინო ბურჯანაძის გუნდში. მისგან კი ასეთი პასუხი მივიღეთ: "რა შეკითხვაა ეს? სამიწიანს ეკითხებით რაღაცებს და ამაზე მოხოვთ პასუხის გაცემას?"

ქუთაისში უკვე გამოჩნდნენ ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის ახალი პარტიის მხარდამჭერები, თუმცა მათ ღია და აქტიური კამპანია ჯერ არ გაუჩაღებიათ. ამდენად ჯერჯერობით უცნობია, რამდენად ვიზილავთ ქუთაისის ამჟამინდელი ხელისუფლების პირველ პირებს ნინო ბურჯანაძის ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში.

## საჭარო ასრა

# ქორების ბასაბათილბლად

თამარ დვალი

"ვაქცინა არის უფასო, ხოლო მის ხარისხზე ჩვენ ვაგებთ პასუხს," - ეს განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიციანიამ წითელა-წითურას საწინააღმდეგო აკრების დაწყებისას გააკეთა. თუმცა, სკოლაში ჩატარებული საყოველთაო ვაქცინაციის შედეგად 22 მოზარდი სტაციონარში აღმოჩნდა. როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე ირწმუნება, ვაქცინა არის უსაფრთხო, ხოლო საზოგადოებაში ატეხილი აუიოტაჟი - უსაფუძვლო. ამის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე ირწმუნება, ვაქცინა არის უსაფრთხო, ხოლო საზოგადოებაში ატეხილი აუიოტაჟი - უსაფუძვლო. ამის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე ირწმუნება, ვაქცინა არის უსაფრთხო, ხოლო საზოგადოებაში ატეხილი აუიოტაჟი - უსაფუძვლო. ამის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე ირწმუნება, ვაქცინა არის უსაფრთხო, ხოლო საზოგადოებაში ატეხილი აუიოტაჟი - უსაფუძვლო.

წითელა-წითურას საწინააღმდეგო აკრების აქცია 20 ოქტომბერს დაიწყო და 15 დეკემბრამდე გაგრძელდება. საზოგადოებაში ინდური წარმოების ვაქცინის მიმართ გაჩენილი უნდობლობის გამო ვაქცინაციის პროცესი საქართველოსა და უკრაინაში თითქმის ჩაიშალა. ვაქცინაციის დანყებადვე ჯანდაცვის სამინისტროში ირწმუნ-

ნებოდნენ, რომ ვაქცინა, რომელიც საქართველოში შემოვიდა, 18-ზე მეტ ქვეყანაში იყო აპრობირებული. ამის მიუხედავად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ექიმები თავიანთ ახლობლებლებს ინდური ვაქცინით აცრას არ ურჩევდნენ. როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის უფროსი პაატა იმნაძე აცხადებს, ექიმების მხრიდან მსგავსი რჩევები, სავარაუდოდ, პირადი დაინტერესებით იყო გამოწვეული. "უფასო საყოველთაო აკრებიდან ექიმს რჩება 1 ლარი, ხოლო ფასიანი აკრებიდან გაცილებით მეტი. ჩემი აზრით, მსგავსი განცხადებების საფუძველიც ეს არის. როდესაც ვაქცინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო - რედ) მიერ არის პრეკვალიფიცირებული, ხარისხში განსხვავება არ არსებობს - ფრანგულია ის, თუ ინდური. ჯანმო-ზე მაღალი ინსტანცია მსოფლიოში არ არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ იყიდან ვაქცინას, თუ მას არა აქვს ჯანმო-ს პრეკვალიფიკაცია. სულ რამდენიმე ქვეყანაა, რომელიც ანარმოებს ვაქცინას. ძირითადად ესენია ამერიკა, საფრანგეთი და ინდოეთი. მსოფლიოში ყოველი მეთორ ბავშვი ინდური ვაქცინით იცრება. ამავე ვაქცინით 62 მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა. გვერდითი

მოვლენები სხვაგანაც იქნებოდა, მაგრამ ეს მოსალოდნელია და ამის გამო ვაქცინაციის პროცესი არსად ჩაშლილა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ უკრაინას," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას პაატა იმნაძემ. მისივე თქმით, საქართველოში 458 ათასი ადამიანი აიცრა, აქედან ჰოსპიტალიზირებული მოხვდა 22 მოზარდი, ხოლო სტაციონარში ერთ დღეზე მეტ ხანს დარჩა - ხუთი. დღეს ყველა მათგანის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. "სტაციონარში მოხვედრილი მოზარდების ძირითადი ნაწილი 12-დან 15 წლამდე ასაკის არის. ამ ასაკში კი ყველაზე მაღალი ემოციური ფონია. არც ბავშვებში და არც დიდებში სერიოზული გართულებები არ ყოფილა. ასე რომ ყოფილიყო ვაქცინაციის პროცესი არ გაგრძელდებოდა," - ირწმუნება იმნაძე და დასძენს, რომ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც დიფტერიის ეპიდემია იყო და ინდური ვაქცინით სამ მილიონზე მეტი ადამიანი აიცრა, მაშინ ვაქცინის წარმომავლობისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ვაქცინა გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ არის შემოტანილი, რომლის პროგრამებითაც მსოფლიოს ბავშვების ნახევარზე მეტი იცრება. რაც შეეხება ფრანგული და ინდური ვაქცინის ფასში სხვაობ-

ას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ ეს კონკრეტულ ქვეყანაში შრომის ანაზღაურების სხვაობით არის განპირობებული, ხოლო ტექნოლოგიები და შტამები, რითიც ვაქცინა მზადდება, ორივე გან ერთნაირია. პაატა იმნაძე ასევე უარყოფს ინფორმაციას, რომელიც მედიით გავრცელდა. "ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ ვაქცინა საქართველოში რეგისტრაციის გარეშეა შემოტანილი. ყველაფერი იმ ნუსხების დაცვით გაკეთდა, რაც საჭიროა ჰუმანიტარული ნაშლების შემოტანისას. წამლის სააგენტოს ვაქცინაზე დასკვნა გაცემული აქვს, თუმცა რეგისტრაცია საჭიროა მაშინ, როდესაც პრეპარატი კომერციული და ნიშნულებით შემოდის. ჰუმანიტარული მედიკამენტების შემთხვევაში განსხვავებული ნიშნით, ყველა საბუთი წესრიგშია," - აცხადებს პაატა იმნაძე. წითელა-წითურას საწინააღმდეგო ვაქცინაციის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, გაერო-ს ბავშვთა და ვიშნევისკაიარასტრაპოვიჩის ფონდების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.



# საბაჟო შემოსავლების მსხვერპლთა ხსოვნის დღე

გაერო-ს გადაწყვეტილებით, 2005 წლიდან 16 ნოემბერს მსოფლიოში საბაჟო შემოსავლების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნება. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად ავტოსაგზაო შემოსავლების გამო 1,3 მილიონი ადამიანი იღუპება და 50 მილიონამდე იღებს ტრავმას ან ინვალიდდება, ხოლო 10-24 წლის ახალგაზრდათა სიკვდილიანობის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ავტოსაგზაო შემთხვევაა.

საქართველოში, ავტოსაგზაო შემთხვევით, ყოველწლიურად ასობით ადამიანი იღუპება, უფრო მეტი კი სახიზრდება. მათი უმრავლესობა ახალგაზრდა მამაკაცია. როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, ქვეყანაში ავარიების უმეტესობა ნასვამი მძღოლების მიერ სიჩქარის გადამეტების გამო ხდება. თუმცა, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ავარიები, რომლებიც ქვეითად მოსიარულეების მხრიდან საგზაო წესების დაუმორჩილებლობის გამო ხდება. პოლიციელები განსაკუთრებით დიდ პრეტენზიას გამოთქვამენ მიკროავტობუსების მძღოლების

მისამართით. მიმდინარე წელს სამარშრუტო ტაქსების ავარიის ოცამდე ფაქტია დარეგისტრირებული, რასაც ათობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეენირა. სწორედ ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ცოტა ხნის წინ, მიკროავტობუსების მძღოლების მიმართ კონტროლის ზომები გამკაცრდა.

“ბოლო დროს ძალიან ხშირია მიკროავტობუსების მძღოლების მიერ ჩადენილი ავტოსაგზაო შემთხვევები, რაც გამოწვეულია როგორც სიჩქარის გადაჭარბებით, ასევე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიერ. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევები მთავრდება როგორც სხეულის მძიმე დაზიანებებით, ასევე სიცოცხლის მოსპობით. აქედან გამომდინარე, საპატრულო პოლიცია აღნიშნული შემთხვევების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით იწყებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას. რაც გამოიხატება სამარშრუტო ტაქსების მძღოლების შემოწმებაში სიმთვრალე-სიფხიზლის ტესტირებაზე, როგორც მაგისტრალზე, ასევე მათ საბაჟო სადგურებ-

ში და გამკაცრდება კონტროლი მათ მიერ სიჩქარის გადაჭარბებაზე. საპატრულო პოლიცია აფრთხილებს მიკროავტობუსების მძღოლებს, რომ გატარებული ღონისძიებები იქნება მკაცრი და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლები დაისჯებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, როგორც ჯარიმით, ასევე მართვის მოწმობის ჩამორთმევით,“ - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავერცელებულ განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წელს ცხრა თვეში “ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ანექსპლუატაციის წესის დარღვევის” 3088 ფაქტია რეგისტრირებული, აქედან გახსნილია 702 შემთხვევა. ამ საქმეებიდან სასამართლოში გადაგზავნილია 609 შემთხვევა, ანუ სწორედ ამდენი ავარია დასრულდა მძიმე შედეგით.

სხვათა შორის, როგორც ოფიციალური სტატისტიკით ირკვევა, მიმდინარე წელს, 2007 წელთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. გასულ წელს აღრიცხულია 2591 ავტოსაგზაო შემთხ-

ვევა, საიდანაც სასამართლოში გადაიგზავნა 885 საქმე.

მსხვერპლის გარეშე არც გუშინდელი დღე დასრულდა. პატრულის ინფორმაციით, მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე ავტომანქანა „მერსედესი“ გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და ხეს შეეჯახა. შეჯახების შედეგად მგზავრი, 18 წლის გოგონა ადგილზევე დაიღუპა. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კი სამი ადამიანი დაშავდა. პირველ სამშობიაროსთან N49 სამარშრუტო ტაქსი მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება 033-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თამუნა ჩერელაშვილის განცხადებით, დაშავებულების მდგომარეობა მძიმეა და ისინი მეოთხე კლინიკურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

ოფიციალური ინფორმაციით, 15-16 ნოემბრის ღამეს ავტოსაგზაო შემთხვევის რვა ფაქტი დაფიქსირდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, 20 კი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული.

საკუთარი ინფორმაცია

## ავტოაუქციონი საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოში

საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოში ავტოაუქციონი გაიმართა. აუქციონი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო.

შსს-ს ბალანსზე არსებული ამორტიზებული ავტომანქანების შეძენა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. ავტომანქანების საწყისი ფასი 200 აშშ დოლარიდან იწყება. გაყიდული ავტომანქანებიდან შემოსული თანხა მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში გადაირიცხება.

გუშინდელ, აუქციონზე 368 მანქანა იყო გატანილი. აუქციონის პირველი ეტაპი 12 ნოემბერს ჩატარდა, სადაც 114 ავტომანქანა გაიყიდა.

ჯი-ეიზ-ენი

## ქუთაისის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს

ქუთაისის ციხეში პატიმრებმა შიმშილობა შეწყვიტეს. სასჯელალსრულების დაწესებულების N2 საპრობლემში ხონის კოლონიდან გაქცეულმა 26-მა პატიმარმა, რომლებიც ხელახლა დააკავეს, საკვების მიღებაზე უარი სამი დღის წინ განაცხადეს.

პროტესტის ამ ფორმას მსჯავრდებულებმა მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო მიმართეს, რომლის მიხედვითაც, კოლონიიდან გაქცევის ორგანიზატორობაში ედებათ ბრალი.

პატიმრებისთვის მიყენებული მუხლი არ შეცვლილა, თუმცა შიმშილობა მას შემდეგ შეწყდა, რაც ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებით დაკომპლექტებულმა მონიტორინგის საბჭოს წევრებმა მონახულეს.

“პატიმრებმა აქცია დროებით შეწყვიტეს, რადგან ჩვენი მხრიდან მათი მოთხოვნის საჯაროდ გამოქვეყნება იგეგმება. დაუშვებელია, 26-ვე პატიმარი ორგანიზატორობის ბრალდებით გასამართლდეს,“ - აცხადებს საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის თავმჯდომარე მანანა მანაგაძე.

ხონის კოლონიიდან პატიმრები ავჯისტოს ცნობილი მოვლენების დროს გაიქცნენ. მათ 5-დან 7 წლამდე პატიმრობის დამატება ემუქრებათ.

ინტერპრესნიუსი

## თბილისში განზრახ მკვლელობის მარცხენებელმა დაიკლო

თბილისში განზრახ მკვლელობის მარცხენებელმა დაიკლო. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, მიმდინარე წლის 10 თვეში ედაქალაქის მასშტაბით მკვლელობის 43 შემთხვევა რეგისტრირებული, მათგან გახსნილია 35.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი თბილისის საგამოძიებო ორგანოებში განზრახ მკვლელობის 73 შემთხვევა დარეგისტრირდა, მათ შორის გახსნილია 58. თბილისში 2008 წლის ოქტომბრის ჩათვლით სულ 25 ათას 685 დანაშაულია რეგისტრირებული.

ჯი-ეიზ-ენი

## გაუპატიურების 26 შემთხვევიდან 11 გახსნილია

2008 წლის ნოემბრამდე ედაქალაქის მასშტაბით გაუპატიურების 26 შემთხვევა დაფიქსირდა. შსს-ის სტატისტიკური მონაცემებით, ამ კატეგორიის რეგისტრირებული დანაშაულთაგან გახსნილია მხოლოდ 11 შემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში თბილისის საგამოძიებო ორგანოებში გაუპატიურების 46 ფაქტი დარეგისტრირდა, რომელთაგან სამართალდამცველებმა 19-ის გახსნა მოახერხეს.

ჯი-ეიზ-ენი

## ომბუდსმენის ვიზიტი ნორვეგიაში

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი დღეს ნორვეგიაში გაემგზავრება. ომბუდსმენი ნორვეგიასა და შვედეთში ჰელსინკის კომიტეტების მიწვევით ჩადის, სადაც იქაურ კოლეგებს, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე პარლამენტარებს, საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელ პირებს და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს შეხვდება.

ნორვეგიელი და შვედი კოლეგების თხოვნით, სუბარი საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს, რის შემდეგაც მედიის და ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით დისკუსია გაიმართება. როგორც სახალხო დამცველის ოფისში აცხადებენ, ვიზიტის მიზანი სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვაა, როგორც ამ ქვეყნების ომბუდსმენებთან, ისე ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ქართველი ომბუდსმენის ვიზიტი ნორვეგიასა და შვედეთში 21 ნოემბერს დასრულდება.

პირველი

## ბანცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) აცხადებს ღია აუქციონს სს „ინტერტრანსერვისი-საზღვაო ვაჭრობა“-ს ს/ნ 215080481 (მდებარე: ქ.ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ინტერტრანსერვისი-საზღვაო ვაჭრობა“-ს შემდეგი დასახელების ქონება:

№	საგნების დასახელება და აღწერა (განმარტებული ნიშნები, ცვეთა და სხვა).	ზომის ერთეული (ზომა, წონა, მეტრაჟი და სხვა):	თითოეული საგნის შეფასება ლარებში	
			ერთეულის ფასი	საბაზრო ღირებულება
1	2	3	4	5
1	ადმინისტრაციული შენობა			1350000
	ა) პირველი სართული			650000
	ბ) მეორე სართული			400000
	გ) მესამე სართული			300000
2	რესტორანი „შოთა“			150000
3	რესტორანი „თოლია“			800000
4	ბოსტნეულ საცავი			40000
5	მიწის ნაკვეთი (ქ. ფოთი, ფალიაშვილის ქ. №3)	5000 კვმ		150000
	სულ ჯამი			2490000

ქონების საერთო ღირებულება: 2490000 (ორიმილიონ ოთხასოთხმოცდაათი ათასი) ლარი. ქონების ადგილმდებარეობის ფაქტობრივი მისამართია: ქ.ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №52. აუქციონი გაიმართება 2008 წლის 19 ნოემბერს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში. აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადებოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (ჩემპები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(293)2-07-04; 8(293)2-07-06.



უხსოვარი

# გამოძიების პრობლემა - სახელმწიფო, რომელითაც ბენეფიკარი კვალის იხილება

## პოლიციის აკადემიის მსმენელებმა ფიცი დადეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში ფიცი დადო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და საპატრულო პოლიციის 134 მსმენელმა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, ფიცი დადეს იმ მსმენელებმა, რომლებმაც ექვსი კვირის განმავლობაში გაიარეს უზნის ინსპექტორებისა და საპატრულო პოლიციის საბაზისო მომზადების კურსები.

### ინტერპრესნიუსი

## შენწყალბების კომისია 18 ნოემბერს 161 პატიმრის ბედზე იმსჯელებს

შენწყალბების სახელმწიფო კომისია 18 ნოემბერს 161 პატიმრის ბედზე იმსჯელებს.

როგორც შეწყალბების სახელმწიფო კომისიის წევრი, დეპუტატი ვია ცაგარეიშვილი აცხადებს, 161 პატიმარს შორის როგორც ნაკლებადმძიმე, ასევე მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირები, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები და ქალები არიან. დეპუტატის განცხადებით "მათი 90 პროცენტი ციხიდან გამოვა."

შენწყალბების კომისიის მომავალი კვირის სხდომაზე მსჯელობის თემა ე.წ. პოლიტიკურ პატიმართა სია არ გახდება. როგორც ცაგარეიშვილი განმარტავს, ამ პატიმრების გათავისუფლება "არა შეწყალბების კომისიის პრეროგატივაა, არამედ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ნების საკითხია".

"პოლიტპატიმართა სიაში" სხვადასხვა ბრალდებით გასამართლებული 19 პატიმარი ფიგურირებს - შალვა რამიშვილი, დავით ჭანტურია, ილია ნურნუშია, გივი მახარაშვილი, რევაზ კლდიაშვილი, ჯონი ჯიქია, იოსებ ჯანდიერი, დავით ტატიშვილი, მერაბ რატიშვილი, ავთანდილ თაყაიშვილი, გიორგი ამირანაშვილი, დემურ ანთია, არჩილ ბენიძე, მარტენ ნადირაძე, მაია თოფურაძე, ესტატე მიხანაშვილი, გივი ჯანიშვილი, თამაზ ბაკურაძე და ნორა კვიციანი. ცაგარეიშვილის თქმით, აღნიშნული სია ანტიკორუპციულმა საბჭომ იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს უკვე გადასცა. დეპუტატი დამუხრებულაა, რომ "პოლიტპატიმართა სია" პრეზიდენტის მაგიდაზეც დევს. შეწყალბების კომისიის სხდომა 18 ნოემბერს მთავრობის კანცელარიის შენობაში გაიმართება.

### პირველი

## უკრაინაში 31 წლის ქართველი წამებით მოკლეს

უკრაინაში 31 წლის ქართველი წამებით მოკლეს. შემთხვევა ქალაქ ჩერნოვციის მილიციამ მოხდა.

ლვოვის ოლქის ქართველთა ორგანიზაციის წარმომადგენლების ინფორმაციით, ქართველი ახალგაზრდა მილიციაში ცემეს და შემდეგ ჩამოახრჩეს. მათივე მტკიცებით, მილიციამ გარდაცვლილს ნარკოტიკები და იარაღი ჩაუდო, შემდეგ კი მისგან გარკვეული რაოდენობის თანხის გამოძალვას ცდილობდა. ამბობენ, რომ მსგავსი ფაქტები განსაკუთრებით უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, იმ რეგიონებში გახშირდა, სადაც ძირითადად პრორუსულად განწყობილი მოსახლეობა ცხოვრობს.

### პირველი

## ტოლიატის ყოფილი მერი მოკლეს

ტოლიატის ყოფილი მერი, ტოლიატის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი სერგეი ფილკინი მოკლეს. შემთხვევა გუშინწინ მოხდა. "იტარ-ტასის" ცნობით, 48 წლის ფილკინს თავს ავტოქარხნის რაიონში მდებარე სანატორიუმ "პრილესიეში" დაესხნენ. თავდამსხმელებმა ფილკინს ბასრი იარაღით გულის არეში ოთხი, მუცლის არეში კი ექვსი ჭრილობა მიაყენეს. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცველები ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ინტენსიურ საგამოძიებო ღონისძიებებს ატარებენ. ჯერჯერობით მკვლელობის ვერსიები არ ხმაურდება. სერგეი ფილკინს ტოლიატის მერის თანამდებობა 1994 წლიდან 2000 წლამდე ეკავა. 2001 წლიდან კი ის უნივერსიტეტის რექტორი იყო.

### ჯი-ეიჩ-ენი

ესპანელი კრიმინალისტიკები შემოთავაზებენ გამოთქვამენ თანამედროვე სარეცხი და სანმენდი საშუალებების მწარმოებელი ფირმების მიღწევებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ კრიმინალისტიკების განმარტებით, ახალი სარეცხი და სანმენდი საშუალებები, მაგალითად, ახალი "ვენისი" ბოროტმოქმედებს დანაშაულის კვალის დაფარვაში ეხმარება.

როგორც აღმოჩნდა, ახალი სახის სარეცხ საშუალებებს აქვს თვისება, გააქროს არა მხოლოდ ჭუჭყი, არამედ მთლიანად წაშალოს მოკლული ან სწორედ დნმ-ს ანილზზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები დაეხმარა ცოტა ხნის წინ, ბრიტანელ გამოძიებლებს, გასულიყვენ 62 წლის წინ მომხდარი მკვლელობის კვალზე.

12 წლის მერიელ დრიკოტერი 1946 წელს მოკლეს. სკოლის მოსწავლის მკვლელობა გაუხსნელ საქმეთა რიცხვში ითვლებოდა და ბურუსით იყო მოცული. მერიელ დრიკოტერი განსაკუთრებული სისასტიკით იყო მოკლული. მკვლელობის ჯერ გააუბატიურა, შემდეგ ბლაგვი საგნით თავი შუაზე გაუშო და ბოლოს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდის არეში ორი ჭრილობა მიაყენა.

თუკი აქამდე, ექსპერტებს სპეციალური რეაქტივებით ჩატარებული ანალიზების შედეგად შეეძლოთ თუნდაც ბევრჯერ გარეცხილ ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ნაკვალევით გემოლოგინის დადგენა და ამით შეეძლოთ ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება, ახალი სარეცხი საშუალებები ამის შესაძლებლობას მთლიანად სპობს. კრიმინალისტიკისა და ექსპერტებისთვის საჭირო კვა-

ლის ნაშლა ბოროტმოქმედებს ამა თუ იმ სარეცხი საშუალების გამოყენებით, ახლა უკვე მარტივად შეუძლიათ.

გამომძიებლებისა და მკვლევარების დიდ შემოთავაზ ინვესტის ფაქტი, რომ თანამედროვე ქიმიკატები ისეთ ძლიერ მექანიზმსაც კი აქრობს, როგორც ადამიანის დნმ-ია, რომელსაც გამოძიებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რომლის დადგენის საშუალებითაც მსოფლიოში ყოველდღიურად ათასობით საქმე იხსნება. მათ შორის - ათეული წლების წინ მომხდარი დანაშაულებიც.

სწორედ დნმ-ს ანილზზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები დაეხმარა ცოტა ხნის წინ, ბრიტანელ გამოძიებლებს, გასულიყვენ 62 წლის წინ მომხდარი მკვლელობის კვალზე.

12 წლის მერიელ დრიკოტერი 1946 წელს მოკლეს. სკოლის მოსწავლის მკვლელობა გაუხსნელ საქმეთა რიცხვში ითვლებოდა და ბურუსით იყო მოცული. მერიელ დრიკოტერი განსაკუთრებული სისასტიკით იყო მოკლული. მკვლელობის ჯერ გააუბატიურა, შემდეგ ბლაგვი საგნით თავი შუაზე გაუშო და ბოლოს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულ-მკერდის არეში ორი ჭრილობა მიაყენა.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი სამხილი - მკვლელობის ადგილზე, მოკლულის თავთან დატოვებული ცეცხლსასროლი იარაღი, წლების განმავლობაში, გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობდა. გამოცდილი გამოძიებლები უშედეგოდ ცდილობდნენ მიეგნოთ სისასტიკით გამორჩეული მკვლელისთვის.

# ქველი წყნა და მკვლელი მოსწავლეები

გამოძიების ინფორმაციით, მოსწავლემ მასწავლებელი მას შემდეგ მოკლა, რაც მათი სასიყვარულო ურთიერთობა დასრულდა.

31 წლის ოლგა ევტუშენკო ერთ მშვენიერ დღეს კოლეჯში არ გამოცხადდა. რამდენიმე დღის განმავლობაში მის კვალს ვერავინ მიაგნო. გაუჩინარებულის ახლობლებმა და მეზობლებმა დასახმარებლად სამართალდამცველებს მიმართეს. სამართალდამცველები მკვლელის კვალზე ერთ-ერთი მონმის ჩვენების საფუძველზე გავიდნენ. მონმე აცხადებდა, რომ ბოლოს ოლგა ევტუშენკო მისი მოსწავლის ანდრეი გუსკოვის ავტომანქანაში ნახა.

გამოძიებას უკვე დადგენილი აქვს, რომ მოსწავლე მასწავლებელს საცხოვრებელ სახლთან ავტომანქანით დახვდა და სამსახურში წაყვანა შესთავაზა. ავტომანქანაში კი მათ სასიყვარულო ურთიერთობებთან დაკავშირებით შეკამათება მოუვიდათ. გუსკოვმა მასწავლებელს ჯერ ძლიერად ჩაარტყა მუშტი თავში, შემდეგ კი ხელეობით გაგუფა. გამოძიების ინფორმაციით, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით,

გამოძიების გარკვეულ ეტაპზე, სამართალდამცველებმა ეჭვი მოკლულის თანასოფელზე და მეგობარზე მიიტანეს, რომელიც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც გოგონა ბოლოს ნახა. თუმცა, ეს ეჭვიც მალავე გაქრა და საბოლოოდ მკვლელობის საქმე დაიხურა კიდევ. უელსის საგრაფოს ერთ-ერთ სოფელში, სადაც მერიელ დრიკოტერი ცხოვრობდა, დიდი ხნის განმავლობაში, ყველა ეჭვით უყურებდა ერთმანეთს. გარდაცვლის თანასოფლელები თვლიდნენ, რომ გოგონას მკვლელი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, მათ შორის იყო. მშობლები ბავშვებს გარეთ გასვლასაც კი უკრძალავდნენ.

იმ პერიოდში გამოძიებლებმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდნენ დნმ-ს შესახებ. საქმის გახსნისას ისინი მოწმეებისა და ეჭვმიტანილების ჩვენებებს ეყრდნობოდნენ.

მერიელ დრიკოტერის მკვლელის გენეტიკური მონაცემების დადგენა, ახლა, მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც გამოძიებლებმა ძველი საქმე გაიხსენეს და ტანსაცმელს, რომელიც მერიელ დრიკოტერს ეცვა და რომელიც წლების განმავლობაში პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების სეიფში ინახებოდა, ექსპერტიზა ჩაუტარეს. ექსპერტიზა ჩაუტარდა ასევე წლების განმავლობაში შენახულ მკვლელობის ნივთმტკიცებას - ცეცხლსასროლი იარაღს. თუმცა, იარაღზე ჩატარებულმა ანალიზმა გამოძიებლებს ვერანაირი შედეგი ვერ მისცა. წლების წინ მოკლული გოგონას ტანსაცმელზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად კი სპეციალისტებმა მკვლელის გენე-

ტიკური კვალი დაადგინეს. მართალია მკვლელი ჯერ კიდევ არ არის დაკავებული, თუმცა, სამართალდამცველები დარწმუნებულნი არიან, რომ მას სწორედ ექსპერტიზის შედეგად დადგენილი გენეტიკური კვალის საფუძველზე მიაგნებენ. გამოძიება არც იმას გამოორიცხავს, რომ 62 წლის წინ ჩადენილი სასტიკი მკვლელობის ავტორი უკვე გარდაცვლილია.

ძველი საქმის ახალი გამოძიების საქმეში სკოტლენდ-იარდის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ, რომლებიც გენეტიკური კვალის საფუძველზე, მერიელ დრიკოტერს მკვლელის ვინაობის დადგენას ცდილობენ. "იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეჭვმიტანილი პედოფილი გარდაცვლილი აღმოჩნდება, მის გვამს ეგსგუმაცია აუცილებლად ჩაუტარდება, რათა საბოლოოდ დატკიცდეს, რომ გოგონა მან მოკლა", - აცხადებენ სკოტლენდ-იარდის თანამშრომლები.

ცოტა ხნის წინ, სწორედ გენეტიკური კვალის დადგენის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის წამყვანმა ექსპერტებმა რომანოვების ოჯახის დახვრეტის საკითხზე მიმდინარე გამოძიების ვერსია დაადასტურეს, ასევე დაადასტურეს თავად დახვრეტის პროცესის თვითმხიველ მონმეთა ჩვენებები იმის შესახებ, რომ დახვრეტილთა ცხედრები ჯერ დაწვეს, შემდეგ მყავა გადაასხეს.

გენეტიკურმა ექსპერტიზამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ 2007 წლის ზაფხულში, ეკატერინბურგის სისხლთვის, ტყეში, კოპიატოვოს გზაზე ნაპოვნი ადამიანების ნარჩენები რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ოჯახის წევრებს, მის შვილებს მარიასა და უფლისწულ ალექსეის ეკუთვნის.

იარა, რომ ყოფილი მასწავლებელი სწორედ მან დაახრჩო.

"ქუჩაში შემთხვევით შემხვდა. გამახსენდა, როგორ მჩაგრავდა, მამცირებდა, არასწორი პასუხები მისცემდა და ხელეობში სახაზავს მივტყავდა წერის დროს დაშვებული შეცდომებისთვის. გადავწყვიტე, სახლში ვწვეოდი და ამ ყველაფრისთვის პასუხი ეგო", - ასეთი განცხადებით მკვლელის აღიარებითი ჩვენება სწრედ აღიარებითი ჩვენების მიცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კონოვალენკომ საგამოძიებო იზოლაცორში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იზოლაციონის თანამშრომლებმა ის ჩამომხრჩვეალი იპოვეს.

მასწავლებლის მკვლელობის საქმეს იძიებენ სანკტ-პეტერბურგშიც. მათემატიკის პედაგოგი საკუთარ სახლში, სახეიმო შეხვედრის შემდეგ ნახეს მოკლული. ის მოსწავლეებთან ერთად, საკუთარ სახლში მასწავლებლის დღეს აღნიშნავდა. როგორც გაირკვა, პედაგოგი განსაკუთრებული სისასტიკით იყო ნაცემი. თავის არეში მიყენებული დაზიანებებით, მასპინძელი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც მოსწავლეებმა მისი ბინა დატოვეს.



# „დიდი ოცეულის“ სამიტი - ანტიკრიზისულ ღონისძიებათა პაკეტი

ხათუნა გაბიძია

ვაშინგტონის სამიტზე „დიდი ოცეულის“ ქვეყნების მიერ მიღებული სამოქმედო გეგმა, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების თავიდან აცილება აქვს მიზნად, სამ მიმართულებას მოიცავს.

ტელეარხ „ევრონიუსის“ ინფორმაციით, სამიტზე მიღებული შეთანხმება ემსახურება ეკონომიკისა და ფინანსური ბაზრის მხარდაჭერას, მოიცავს საერთაშორისო რეგულირების ბერკეტებსა და მსოფლიო მმართველობის სისტემების რეფორმებისკენ მიმართულ ქმედებებს.

ერთი სიტყვით, ნამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები თავიანთი ფინანსური სისტემების კოორდინირებასა და მოდერნიზებაზე შეთანხმდნენ. ვაშინგტონში მოლაპარაკების მსვლელობისას აღინიშნა, რომ მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს საინვესტიციო ფონდებისა და ე.წ. საგადასახადო თავშესაფრის საქმიანობები.

„აუცილებელია მსოფლიო ფინანსური სისტემის გამჭვირვალობისა და ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა“, - ნათქვამია სამიტის შემაჯამებელ კომუნიკეში.

მხარეებმა ვალდებულება აიღეს, რომ უარს იტყვიან პროტექციონიზმის პოლიტიკასა და უახლოეს მომავალში სავაჭრო ბარიერების აღმართვაზე.

„დიდი ოცეულის“ წევრი ქვეყნების ლიდერებმა ფინანსთა მინისტრებს დააუვალეს, შეადგინონ ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების გრაფიკი.

სამიტის შედეგების თანახმად, ნამყვანი ინდუსტრიული ქვეყნები შიდა ბაზრის სტიმულირებისთვის ფინანსური მექანიზმების გამოყენების ვალდებულებას იღებენ. გარდა ამისა, ისინი მზად არიან, მხარდაჭერა აღმოუჩინონ „ჩამორჩენილ და განვითარებად ეკონომიკებს, რათა მათ შექმნილ რთულ ვითარებაში დაფინანსების შესაძლებლობა მიიღონ.“ ამ პუნქტის ფარგლებში კომუნიკე საერთაშორისო სავალუტო ფონდს მოუწოდებს, კრიზისული სიტუაციის გათვალისწინებით იმოქმედოს.


შემაჯამებელი კომუნიკე 6 პუნქტს მოიცავს, რომელთა დაუყოვნებლივ რეალიზაციის ვალდებულება მსოფლიოს ნამყვანმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა თავიანთ თავზე აიღეს: პირველი - „დიდი ოცეულის“ ლიდერები შეთანხმდნენ, გააგრძელონ მცდელობები ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისთვის; მეორე - აღიარონ ყველა ქვეყნის შიდა ეკონომიკური პირობების შესაბამისად, მონეტარული ეკონომიკის პოლიტიკის მხარდაჭერის აუცილებლობა.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფინანსური სტაბილიზაციის ფორუმს, სადაც წარმოდგენილი იქნებიან სწრაფად მზარდი ეკონომიკები. ეს სტრუქტურა მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციების საკვანძო შემადგენლობაში შევა.

მთავარ როლს საერთაშორისო საფინანსო არქიტექტურის აღდგენასა და სამომავლოდ ეკონომიკური სტაბილიზაციის გამყარებაში მსოფლიო სავალუტო ფონდი შეასრულებს.


გარდა ამისა, დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ბრეტონ-ვუდის ორგანიზაციამ უნდა დაინიშნოს კომპლექსური რეფორმების გატარება, რათა გაცილებით ადეკვატურად მოხდეს მსოფლიო ეკონომიკაში ძალთა ურთიერთქმედების ცვლილებების ასახვა და ახალ გამოწვევებზე რეაგირება.“

კონკრეტულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ შესაბამისად ვებელია, არის კომუნიკე, რომლის საფუძველზეც ბაზრის რეგულირებისთვის ფასიანი ქაღალდები იქნება გამოშვებული.



ნიკოლა სარკოზი: „ევროპა ერთიანია. ჩვენ ახალ მსოფლიო წესრიგში შევდივართ.“

AFP, 2008



**განაცხადი ტენდერის ჩატარებაზე ინტერნეტისთვის (jobs.ge)**

**ტენდერი შიდა ქართლში შემის მიწოდებაზე**

**ტენდერის რეფ. № TF/PU/GEO/HCR/855/2008/003J**

**Premiere Urgence**

საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „Premiere Urgence“, რომელიც ფუნქციონირებს საფრანგეთის კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც უნდა დაფინანსდეს UNHCR-ისა (გაეროს უმაღლესი კომისარი ლტოლვილთა განსახლების საკითხებში) და „საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კრიზისული სიტუაციების ჰუმანიტარული საბჭოს“ მიერ, აპირებს გააფორმოს რამდენიმე ხელშეკრულება შიდა ქართლის რეგიონში შემის მიწოდებასა და ტრანსპორტირებაზე.

- მიწოდებული შემის საერთო მოცულობა შეადგენს 7500 კუბურ მეტრს (რაც განაწილდება რამდენიმე კონტრაქტზე, რომლებიც დაიდება მოცემულ ვადებში მიწოდების მოცულობის შესაძლებლობის მიხედვით შერჩეულ საუკეთესო კანდიდატთან.
- ტრანსპორტირების ადგილები: დიხის, თირბნისისა და ნიქოზის საკრებულოში მდებარე 11 სოფელი
- კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დართო ნება „პრემიერ ურჯენს“ ამ პროექტის ფარგლებში, რომ მან განახორციელოს შემის მიწოდება შიდა ქართლის რამდენიმე ზონაში

**ტენდერის გრაფიკი:**

- სატენდერო დოკუმენტაციის მიღება: 19.11.2008
- სატენდერო დოკუმენტაციის ჩაბარება: 21.11.2008
- ტენდერის გახსნა: 22.11.2008
- კონტრაქტის შესრულების დაწყების თარიღი: 24.11.2008
- კონტრაქტის შესრულების დასრულების თარიღი: 15.12.2008

**ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- ლიცენზია საქმიანობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)
- კომპანიის რეგისტრაციის სერტიფიკატი და წესდების დამოწმებული ასლი
- საგადასახადო ინსპექციიდან დოკუმენტი ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ
- საბუთი ბანკიდან დავალიანების არარსებობის შესახებ
- საბუთი, რომელიც აღასტურებს, რომ კანდიდატის ქონება არ არის დაფადადებული
- საბანკო რეკვიზიტები მოქმედი ანგარიშით აშშ დოლარში
- ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული შესაბამისი საქმიანობების ჩამონათვალი და მიღება-ჩაბარების აქტები
- დანტრერესებულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საბანკო ან სადაზღვევო გარანტია ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში.

დანიტრერესებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია 2008 წლის 20 ნოემბერს, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, „Premiere Urgence“-ის საქართველოს სათაო ოფისში, თბილისში, შემდეგ მისამართზე: დელისის ქ. III, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული, კარები №4. ტელ: (+995 32) 21 02 77, საკონტაქტო პირი: კობა ბუცხრიკიძე, ლევისტიკის თანამშრომელი

ვაშინგტონში „დიდი ოცეულის“ სამიტის შედეგებით მიღებული ღონისძიებების გეგმა მოინონა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა დომინიკ სტორს-კანიმ. მისი თქმით, „ეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობისთვის განახორციელა.“

„ამ უქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ვახდა მოქმედებების გეგმაზე შეთანხმება და ყველა მონაწილის მიერ ამ გეგმის მთლიანად შესრულების ვალდებულების საკუთარ თავზე აღება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ძალისხმევას მხარს დაუჭერს“, - აღნიშნულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საერთაშორისო ფორუმზე დიტირი მედვედევის გამოსვლას „ექსტრაორდინალური“ უნდა გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემა „უოლ სთრით ჯორნალმა“, რომელიც იუწყება, რომ მსოფლიო პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბრისას ბატონმა მედვედევმა ამერიკულ მხარესთან თითქმის არც ერთი პოზიცია არ დათმო.

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა პირმა განაცხადა, რომ იგი ამერიკის ახლად არჩეული პრეზიდენტისგან რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ელის, კერძოდ, სარაკეტო დავის რეგულირებისა და მომავალ წელს დაგეგმილ ევროპული უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საფუძველზე“, - აღნიშნავს გამოცემა.

ზოგადად კი, ვაშინგტონის სამიტის შედეგები მსოფლიოს ნამყვანი ქვეყნების ლიდერების უმრავლესობამ დადებითად შეაფასა.

საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, ფორუმის მონაწილეებმა ევროპული ქვეყნების ერთიანი პოზიციის წყალობით შეძლეს შეერთებული შტატების დაყოლიება, დათანხმებოდა მსოფლიო ლიდერების აზრს.

„ევროპა ერთიანია. ჩვენ ახალ მსოფლიო წესრიგში შევდივართ. სამიტზე ისტორიული შეთანხმება მივიღეთ ფინანსურ სფეროში მოქმედების ძირითადი პრინციპების შესახებ და ფინანსური ბაზრების ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით“, - აღნიშნა ნიკოლა სარკოზიმ.

ვაშინგტონის საერთაშორისო ფორუმის შედეგებით ასევე კმაყოფილია გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

„ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის დასამყარებლად, ბიზნესის გლობალური რეგულირებისა და ბაზრების გაკონტროლების კუთხით“, - აღნიშნა ანგელა მერკელი.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნის შეფასებით კი, ვაშინგტონის „დიდი ოცეულის“ სამიტი ახალი ბრეტონ-ვუდისკენ მიმავალი გზაა. მისი თქმით, საერთაშორისო ფორუმზე „მნიშვნელოვანი დასკვნები“ გაკეთდა, რომელიც მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეფორმირების შესაძლებლობას იძლევა.

„დიდი ოცეულის“ შეხვედრა ისტორიულია, რადგან მივიღეთ მნიშვნელოვანი შეთანხმებები ვაჭრობის, ფინანსური სტაბილურობისა და ჩვენი ეკონომიკების გაფართოების თვალსაზრისით“, - აღნიშნა სამიტის დასრულების შემდეგ გორდონ ბრაუნმა.

„დიდი ოცეულის“ წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, მომავალი სამიტი 2009 წლის 31 აპრილს გაიმართოს. საერთაშორისო ფორუმში საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის წინადადებით, სავარაუდოდ, ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში გაიმართება, რომელიც იმ პერიოდში უკვე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იქნება.





# მოქნილი ანაბარი ბანკი “რესპუბლიკაში”

დანაზოგის განთავსების მოქნილი პირობები



**ბანკი რესპუბლიკა**  
**BANK REPUBLIC**

ჯგუფი სოსოთა ქანაჩანი



# ანაბარზე თანხის შეტანა გსურთ, მაგრამ შესაძლოა გარეგანი ნაწილის გამოტანა ნებისმიერ დროს დაგჭირდეთ?

მოქნილი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, სურვილის შემთხვევაში გამოიტანოთ ანაბრის თანხის 30%-მდე და თან არ შეგიძლირდეთ საპროცენტო სარგებელი დანარჩენ 70%-ზე.

ამასთანავე, სარგებელს გამოყენებულ 30%-ზეც მიიღებთ!

## საპროცენტო სარგებელი

ანაბრის ხელუხლებელ ნაწილზე: 12.5%-მდე

ანაბრის გამოყენებულ ნაწილზე: 3%-მდე

მოქნილი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

### თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	აღ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
პეკინის ფილიალი	პეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლულის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
ალმაშენბლის ფილიალი	ალმაშენბლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114

### რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8 (211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8 (215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8 (24) 12 55 55
ფოთის ფილიალი	ალმაშენბლის ქ. 50	8 (293) 7 00 87
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8 (250) 70040
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8 (255) 31037

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

**(8 22) 92 55 55**

[www.republic.ge](http://www.republic.ge)



**ბანკი რესპუბლიკა**  
**BANK REPUBLIC**

ჯგუფი სოლიდუა ჯანაყალი



### კოტე მახარაძის მემორიალური დაფის გახსნა



16 ნოემბერს ქიაჩელის ქუჩაზე კოტე მახარაძის მემორიალური დაფა გაიხსნა. ეს მოხდა სწორედ იმ სახლთან, სადაც ეს დიდებული ქართველი დაიბადა და სადაც მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს თბილისის ამ პატარა, ლამაზ ქუჩაზე თავი მოიყარეს მისმა მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, მოსწავლეებმა და უბრალოდ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ბატონი კოტე უყვარდათ. ღონისძიება გიგა ლორთქიფანიძემ გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ კოტე მახარაძის სხვა მეგობრებიც: როინ მეტრეველი, გურამ საღარაძე, დიმა ჯაიანი, მიშა ჯოჯუა, ილია დათუნაშვილი და სხვები. მათ გაიხსენეს ის ლამაზი წლები, რომლებიც ამ დიდი პიროვნების გვერდით გაატარეს. ყველას განსაკუთრებული, ბედნიერი, მაგრამ სევდიანი განწყობა ჰქონდა, რადგან ბატონი კოტე მათ გვერდით არ იყო.

**მაკა მახარაძე:** "ხვალ არის კოტე მახარაძის დაბადების დღე, მაგრამ დღევანდელ დღეს გადავწყვიტეთ მემორიალური დაფის გახსნა ტექნიკური საკითხების გამო. მემორიალი გაიხსნა იქ, სადაც კოტე დაიბადა, ცხოვრობდა, აქ ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება და ასე ვთქვათ, აქედან გაფრინდა. მისი აკვანი სწორედ ამ სახლში დაიარსა და ძალიან მიხარია, რომ 6 წლის შემდეგ ეს დღე დადგა! ძალიან ამაღლებული განწყობა მაქვს, მაგრამ ოდნავ ცრემლნარევი!"

### "ებრაული ანთოლოგიის" პრეზენტაცია

ლიტერატურულ არტკაფე "ქარავანში" ახალი წიგნის - "ებრაული ანთოლოგიის" პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაცია, რომელიც სარეკლამო კომპანია "სმარტი და დიელსი" მიერ იყო ორგანიზებული, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

წიგნის შედგენისა და გამოცემის იდეა 16 წლის ახალგაზრდას, წარმოშობით ებრაელ სოსო ჯინჯინაშვილს ეუთვნის, რომელსაც იდეის განხორციელებაში დაეხმარნენ მამაკა ბუცხრიკიძე და ირმა აბაშიძე.

წიგნში თავმოყრილია ებრაული წარმოშობის მწერლებისა და პოეტების შემოქმედების რჩეული ნაწილი. ასევე, ხალხური თქმულებები, ლეგენდები და ანდაზები.

ანთოლოგიაში შესულია ნობელიანტი მწერლის შმუელ აგნოსის, მსოფლიოში ცნობილი იუმორისტის ეფრაიმ კიშონის, თანამედროვე ებრაელი მწერლის ისრაელის ოსკარის და ამერიკის MTV-ის ჯილდოს მფლობელის ეთგარ კერეთის და სხვათა მოთხრობები.

"გავითვალისწინეთ ის, რომ ქართველი მკითხველის უმრავლესობისთვის შესაძლოა ებრაელი ავტორები უცნობები იყვნენ, ამიტომ წარმოგებებს თან დაეურთეთ მათი ფოტოები და მოკლე ბიოგრაფიები," - აღნიშნეს პრეზენტაციაზე წიგნის ავტორებმა.

ანთოლოგია ქართულენოვანია და ყველა თაობის მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

"ჩემი სურვილია, რომ ჩემი ერის ლიტერატურას ქართველი მეგობრებიც გაეცნონ, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე "ებრაული ანთოლოგიის" შექმნა," - ამბობს სოსო ჯინჯინაშვილი, რომლის ახალი კლიპის „ხოტბა იერუსალიმის“ პრეზენტაციაც არტკაფე "ქარავანში" გაიმართა.

წიგნის გამოცემა ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვან მეგობრობას ეძღვნება.

"ქართველმა ებრაელებმა ღირსეულად განვლო საქართველოში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გზა და მტკიცედ დაიმკვიდრა თავი ჩვენს ისტორიაში, რაც ორივე ერის - ქართველთა და ებრაელთა ტოლერანტობის, ბიბლიური სიბრძნის გამოვლინებაა," - აღნიშნა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სმარტი და დიელსი წარმომადგენელმა ხათუნა ბრეგვაძემ.

პრეზენტაციას დავით ოქიტაშვილი, ელენე თევდორაძე, თამარ კინწურაშვილი, გია როინიშვილი და სხვა ცნობილი პიროვნებები დაესწრნენ.


### სოფო კილასონია

ქართული თანამედროვე ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნის შემთხვევები, რამდენადაც ვიცით, საკმაო იშვიათობას წარმოადგენს. ეს იშვიათი შემთხვევებიც ძირითადად ინგლისურ და გერმანულ ენაზე თარგმნა. წიგნი, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ პარიზში გამოცემა და დღეს უკვე პარიზის წიგნის მაღაზიებში იყიდება. თუ სხვა დანარჩენ შემთხვევებში უცხო ენაზე თარგმნის ინიციატორები ქართულ მხარეს წარმოადგენენ ხოლმე და ძირითადაც სწორედ ასე ხდება, ამ წიგნის გამოცემის ინიციატორები ფრანგები და ერთ-ერთი ფრანგული გამომცემლობა გახლდათ. მოკლედ, საუბარი გვაქვს ფრანგული გამომცემლობის "L'espace d'un instant" ახალ წიგნზე. ეს წიგნი ფრანგ მკითხველს ლამაზ ბუნებრივ და მის რამდენიმე პიესას აცნობს. მისი გაცნობის გზა საკმაოდ შთამბეჭდავად დაუსახეს ფრანგებს. დავით საყვარელიძის წინასიტყვაობა და განსაკუთრებით წიგნის ბოლოთქმა აშკარა ინტერესს აღუძრავს ფრანგულად მოუბარ მკითხველს, რომელსაც დიდ საბჭოთა კავშირზე და ახლა უკვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ბევრი სმენია. ამ მკითხველს ხომ ბოლოსიტყვაობაში ეუბნებიან, რომ მათთვის ერთ დროს სრულიად იზოლირებულ სივრცეში ერთ მშვენიერ დღეს ახალი თეატრი დაიწყო და ამ ახალმა თეატრი სწორედ ამ ადამიანის ერთ-ერთი პირველი პიესით დაიწყო სუნთქვა.

ამ პიესას "ოთარი" ერქვა. წიგნსაც ასე აწერია - OTAR et autres pieces, ანუ "ოთარი" და სხვა პიესები. ასეთი შესავლისა და დასკვნის შემდეგ მეც მიჩნდება სურვილი რომ გადავფურცლო და წავიკითხო, მიუხედავად იმისა, რომ მე არა მხოლოდ მე, "ოთარი" დიდი ხნის წინ წავიკითხეთ, თანაც ორიგინალში.

1998 წელს თბილისის თეატრალურ სარდაფში არ ვმჯდარიყავი და "ოთარის" პრემიერაც არ მიხახავს. სამაგიეროდ ახალი ფრანგული წიგნის წინასიტყვაობაში დავხვდი წიგნის ავტორს და დავხვდი მისი ისტორია როგორ დაიწყო.

როცა ეს პიესა დაწერა 20 წლისა არ იყო, მაგრამ ამ ტექსტში ისეთი "სასწაულები" ხდებოდა, უთქვამთ, რომ ქართულ თეატრში, ახალმა, ახსურდის თეატრმა დაიწყო სიცოცხლის ათვლა, მოკლედ მაშინ ბევრი რამ უთქვამთ და დღესაც, ზოგიერთს არ ავიწყდება საკუთარი რეაქციები. რეაქციები, როცა "უყურებდნენ ახალ თეატრალურ ენაზე მოუბარ გმირებს, არალოგიკურ დიალოგებს და კიდევ ერთობ გამოაგებებელ პერსონაჟებს: ოთარის ცოლს, რომელიც ამბობდა რომ სხვა ქალის ბავშვი ჰყავდა მუცელში, ოთარის ვაჟს, რომელსაც ძროხა უყვარდა თავგამოდებით, ამ უცნაურ გარემოში აღმოცენებულ ძალიან ჩვეულებრივ და ცნობად დედასა და დედამთილს, ოთარს, რომელიც ყრუც იყო, მუხვიც და მინც არაჩვეულებრივი ვინმე... ალბათ პატარა შოკი ელემენტები მართლაც არსებობდა და არა მხოლოდ იმიტომ რომ ბუღაძის გამოგონილ ოჯახში ერთმანეთს ყლაპავდნენ, ალბათ რაღაც ახალი იწყებოდა მართლაც. მაგრამ ეს ახალი არ გავრძელებულა და რაც არ უნდა დავწეროთ არაჩვეულებრივი და სხვა უცხო ენებზე წინა და ბოლოსიტყვაობებში, ქართველმა რეჟისორებმა ეს ახალი არ ან ვერ აიტაცეს. არც დრამატურებს უაქტიურებს. ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ 90-იანი წლების ბოლოს ქართულ თეატრში რაღაც ახალი დაიწყო, ანდა "თეატრალურმა სარდაფმა" ამ სპექტაკლით რაიმე განსაკუთრებული მოახდინა, ეს



სარდაფი და სხვა ყველა დანარჩენი თეატრალური სცენა სულ სხვა ტენდენციებზე გაიტაცეს და ამ ტენდენციებს, სამწუხაროდ, არც ახალთან და არც რაიმე ნიშნით ღირებულთან არ მიუყვანიყავთ...

რაც შეეხება ისევე ბუღაძის ფრანგულად გამოცემულ პიესებს. "ოთარის" გარდა ამ კრებულში წარმოდგენილია კიდევ რამდენიმე სხვა პატარა ნაწარმოები. 1999 წელს დაწერილი "ვალენტის ამბავი", "პრეზიდენტი და ენრიკო", "პირველი გაკვეთილი" და "Comedie francaise" თუმცა, ეს უკანასკნელი პიესა, ანა ნადიბიძე-ბუჩაძის მიერ ბევრად ადრე ითარგმნა და ერთ-ერთ თეატრალურ ფესტივალზე; საფრანგეთში დავით საყვარელიძის რეჟისორით მას ფრანგი თეატრალის მკვირე, მაგრამ საინტერესო ნაწილი გაეცნო კიდევ. რაც შეეხება ახალ თარგმანებს, ისინი მართლაც კვსელავან ფრანგებისთვის გასაგები ირინა ლობოვიძისა და ემანუელ გიემენ დემონსთან თანამშრომლობით გახადა. მართლაც კვსელავა საფრანგეთის თბილისის კულტურის ცენტრის თანამშრომელია და საფრანგეთის კულტურის ატაშეს თანამშემცხე. სასაუბრო მასთან ბევრი გვაქვს, თუმცა ამჯერად მთავარ აქცენტს მაინც ლამაზ ბუღაძის პიესების თარგმანზე გავაკეთებთ:

**- თუ ვითარგმნიან სხვა ქართული ნაწარმოები ფრანგულ ენაზე და რომელი?**

- არა, ეს ჩემი პირველი თარგმანია ფრანგულ ენაზე.

**- როგორ და რატომ დაიწყეთ მუშაობა ბუღაძის ტექსტებზე?**

- დიდი ხანია, რაც ვიწარმოებდი პარიზის "ევროპისა და აღმოსავლეთის სახლთან" (Maison d'Europe et d'Orient). ეს ორგანიზაცია მუშაობს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის თანამედროვე დრამატურგებზე. მათთან რამდენიმე პროექტის ფარგლებში ვითანამშრომებ. ეს თარგმანიც ევროპისა და აღმოსავლეთის სახლთან დაკვეთით შევასრულე. მათ ნუსხაში ეს კრებული პირველი გამოცემაა, რომელიც მთლიანად ერთ ქართველ ავტორს ეთმობა.

ლამაზს პიესებიც მათი შერჩევითაა. მათი წინადადება სიამოვნებ-

ით მივიღე იმიტომ, რომ ეს საქმიანობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

**- თქვენი აზრით, რა სირთულეებს აწყდება მთარგმნელი როცა თანამედროვე მწერლის ტექსტს თარგმნის და მით უფრო დრამატურგისა?**

- საკმაოდ რთულია თარგმნი იმ ენაზე, რომელიც შენი მშობლიური ენა არ არის. ამის გამო ყოველთვის უფრო ვამბობდი ამგვარ შემთავაზებებზე. ლამაზს პიესების თარგმანზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა ფრანგი ახალგაზრდა პუბლიცისტი, ემანუელ გიემენ დემონი (Emmanuel Guillemin d'Echon). მასთან ერთად მუშაობისას თარგმანში ისეთი ცვლილებები შეიტანეთ, რომელიც ტექსტს გამართლეთ თანამედროვე ფრანგულ ენაზე ალაპარაკებდა, თანაც ისეთივე სტილით, რომელსაც ავტორი იყენებს თავის პიესებში.

ნამდვილად რთულია ქართველი თანამედროვე ავტორის თარგმნა. ის ქართული (სწორედ საბჭოთა სივრცისთვის) დამახასიათებელი რეალობის ამსახველია, რომელიც თარგმანში ისე უნდა გადავიდეს, რომ დასავლეთ ევროპისთვის გასაგები გახდეს. დრამატურგის თარგმნა გაცილებით რთულია, რადგან აქტუალური ენით საუბრობს. თარგმანში ადეკვატური ენის პოვნა საჭირო, რაც არც ისე იოლია.

**- რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის ამ წიგნზე მუშაობა და ამ ეტაპზე რას თარგმნი?**

- ლამაზ ბუღაძის პიესებზე მუშაობა მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო ჩემთვის. ამჟამად ფრანგულ ენაზე ვამზადებ თანამედროვე ქართული დრამატურგიის ზოგად მიმოხილვას.

**- გეგმათი გაქვთ რომელიმე სხვა ქართველი მწერლის ტექსტზე მუშაობა? ანდა ხომ არ გეგმათ რომელიმე თანამედროვე ფრანგი დრამატურგის ან ზოგადად მწერლის ქართულ ენაზე თარგმნას?**

- ახლო მომავალში არა.

**- რაც შეეხება დიუმას ცენტრის გეგმებს ლიტერატურის მმართველობის რედაქციის მი-**

რებით, სულ ახლახანს, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრთან არსებული მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში, შუმანის ფონდისა და ბანკ რესპუბლიკას ხელშეწყობით გამოიცა ორი სექტანაიანი წიგნი ევროპის შესახებ: "ჟან-ბატისტ დიუროზელის" ევროპის ხალხების ისტორია" და ივ ტისის "ევროპის ლექსიკონი. ევროპის სახელმწიფოები 1789 წლიდან დღემდე" (გამომცემლობა ჯისიანი).

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტის, ჟან-ბატისტ დიუროზელის ამ მონუმენტურ ნაშრომს ანალოგი არ მოეძებნება. იგი ევროპის სხვადასხვა ხალხთა ეროვნულ თავისებურებების გათვალისწინებით აღწერს თანამედროვე ევროპის ისტორიული ფესვებს, მის გეოგრაფიული მდებარეობას. ამ თარგმანის გამოცემა ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს გაეცნოს ევროპის კონტინენტის ისტორიას პრეისტორიული პერიოდის მოყოლებული დღევანდელ დღემდე: მეგალითურ ეპოქას, კელტების, რომაელებისა და ბერძნების ექსპანსიის პერიოდებს, ქრისტიანთა და გერმანიკული ტომების ხალხთა ისტორიას, რომაული და გოთური ხელოვნების დაბადებას, რენესანსის ეპოქას, მსოფლიო ომებს, კოლონიალიზმის დასასრულს და იმპერიალიზმის მსხვერველს, დაბოლოს, ევროპის ხალხების დემოკრატიზაციის პროცესებს, რამაც საშუალება მისცა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს გაერთიანებულიყვნენ ერთ საერთო ოჯახში.

ხოლო ივ ტისის - ლექსიკოგრაფის, ისტორიკოსის, ტერიტორიული საკითხების სპეციალისტის - ნაშრომი, რომელსაც 2003 წელს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წარდგინებით "ვერდაგუერის" (Verdaguer) პრემია მიენიჭა, 2008 წელს უკვე შესამდგამი განახლებული სახით. სწორედ ამ მესამე გამოცემის მიხედვით შესრულებული ქართული თარგმანი დღეს ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისთვის. ლექსიკონში აღწერილია ევროპაში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკური და ტერიტორიული ისტორია ორი საუკუნის მანძილზე, ნათლადაა წარმოდგენილი რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქვეყნების (მაგ. ყოფილი იუგოსლავიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის და სხვა) ამჟამინდელი მდგომარეობა, რაც აიოლებს ევროპის გეოპოლიტიკური პრობლემების გაგებას. 46 სუვერენული სახელმწიფოს გარდა, ლექსიკონში აღწერილია 300 დღეისათვის გამქრალი ევროპული სახელმწიფო. მას დართული აქვს ქრონოლოგია და რუკები. ამიტომაც, ეს ნაშრომი წარმოადგენს სამაგიდო წიგნს ისტორიკოსებისთვის, საერთაშორისო ურთიერთობის თუ პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის და ზოგადად ინტელექტუალებისთვის.

მერაბ მამარდაშვილის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში ფრანგული კულტურის ცენტრი საახალწლოდ კიდევ რამდენიმე ფრანგი ავტორის თარგმანს შესთავაზებს ქართველ მკითხველს: კლასიკოსებს - ლუიჯივერდინანდ სელინის "მოგზაურობა ლამის დასალიგერში" (ოსიუ გამომცემლობა), ჟან ფენეს "ნორტ-დამდე ფლური" (გამომცემლობა დიოგენე) და რაიმონ კენოს "ქალებთან მეტისმეტად კეთილი ვართ" (გამომცემლობა აფ მენეჯემენტი); თანამედროვე ბესტსელერს - მარკ ლევის "ეს რომ მართალი იყოს..." (გამომცემლობა აგორას); ასევე, თანამედროვე ავტორის, ერიკ-ემანუელ შმიტის - რომლის ორ ნაწარმოებს უკვე ეცნობს ქართველი მკითხველი - ახალ თარგმანს "ნორეს შვილი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).



# კანონი და წესიერება

## პერუს ხელისუფლება ამერიკელებს სასამართლოში უჩივლებს

პერუს ხელისუფლებამ გადაწყვიტა სასამართლოში საქმე ამერიკის იელის უნივერსიტეტის წინააღმდეგ აღძრას. საქმე იმაშია, რომ ამ უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება რელიკვიები, რომლებიც ინკების ქალაქ მაჩუ-პიკჩუდან, თითქმის, საუკუნის წინათ გაიტანეს. პერუსა და იელის უნივერსიტეტს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, სამშობლოში 45 ათასი ნივთიდან, დაახლოებით, 5 ათასი შემოთავაზებული უნდა დაებრუნებინათ.

1911 წელს ჰაირემ ბინგემმა, ამერიკელმა არქეოლოგმა, რომელიც ითვლება, რომ ინდიანა ჯონსის ერთ-ერთ პროტოტიპად იქცა, პერუს ძნელადმისაღწევ და მთიან რეგიონში, თეთრკანიანთაგან პირველმა მიაკვლია ინკების უძველესი ქალაქის ნანგრევებს, რომელიც, სავარაუდოდ, XV საუკუნით თარიღდება. ბინგემმა მას "მაჩუ-პიკჩუ" უწოდა, რაც კერძოდ ენაზე "ძველ მთას" ნიშნავს. ერთ დროს, კერძოდ ენა ინკების იმპერიის ოფიციალურ ენად ითვლებოდა. ლეგენდის თანახმად, ამ ქალაქისკენ მიმავალი გზა ბინგემს ადგილობრივმა ბიჭმა მხოლოდ ოცდაათ ცენტად უჩვენა.

მაჩუ-პიკჩუში ჩატარებული რამდენიმე ექსპედიციის შედეგად ნაპოვნი ინკების ხელოვნების ნიმუშები აშშ-ში გაიტანეს და იელის უნივერსიტეტის მუზეუმში დააბინავეს. იმ დროს, როცა ბინგემის ექსპედიციი მაჩუ-პიკჩუს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს ანარმობდა, ის ადგილი კულტურულ ძეგლად არ ითვლებოდა, ხოლო პერუს 1912 წელს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ყველაფერი, რასაც მსგავსი გათხრებისას აღმოაჩენდნენ, მპოვნელის საკუთრებად ითვლებოდა. პერუს ხელისუფლებამ არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, მსგავსი რამ, გამართლებულად ითვლებოდა. ხელისუფლებასთან გაფორმებული შეთანხმების თანახმად, ამერიკელი არქეოლოგი თავს



ვალდებულად თვლიდა, რომ მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ ნივთებს შეისწავლიდა, სამშობლოს მთელი მონაპოვარიდან მხოლოდ უნიკალურ და ღებრივად არტეფაქტებს დაუბრუნებდა. პერუსადმი გატანული ნივთების ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ნაკეთობანი კერამიკისგან და ცხოველთა ძვლებისგან.

1914 წელს ბინგემმა მაჩუ-პიკჩუში მეორე ექსპედიცია წამოიწყო. ამ დროისათვის იქ კულტურულ ფასეულობათა საკუთრების კანონი უკვე შეცვლილი იყო, რომლის თანახმადაც, ფასეულობათა მპოვნელს მათი მითვისება მხოლოდ მცირე დროით შეეძლო. მეორე ექსპედიციისას მოპოვებული კერამიკული ნაკეთობების, ვერცხლის ქანდაკებებისა და ოქროს სამკაულების უკან დაბრუნებას ხელი პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა. თუმცა, აღნიშნული ნივთები სამშობლოს ომის დამთავრებისთანავე დაუბრუნდა.

ჰაირემ ბინგემმა მაჩუ-პიკჩუში ჩატარებული ექსპედიციების შედეგად, სამი წიგნი - "ინკების მიწა"

(1922 წ.), "მაჩუ-პიკჩუ" (1930) და "ინკების დაკარგული ქალაქი" (1948) დაწერა, რომლებმაც დიდი დაინტერესება გამოიწვია, როგორც მაჩუ-პიკჩუსადმი, ისე მთლიანად სამხრეთ ამერიკის უძველესი კულტურებისადმი. 1948 წელს პერუს ხელისუფლებამ არქეოლოგი მაჩუ-პიკჩუდ გაყვანილი გზის საზეიმო გახსნაზე მიიწვია. ახლადგაყვანილ გზას, ამერიკელი არქეოლოგის საპატივსაცემოდ, "ჰაირემ ბინგემის გზატკეცილი" (Hiram Bingham Highway) უწოდეს. ბინგემის კოლექცია დღემდე იელის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მთელი მსოფლიოდან მოწვეული მეცნიერების გულმოდგინე კვლევის საგანია.

თუმცა, 2 000 წლიდან პერუს ხელისუფლებამ იმ ნივთების უკან დაბრუნება მოითხოვა, რომლებიც ამერიკელმა არქეოლოგმა პირველი ექსპედიციისას აღმოაჩინა. ხელისუფლებამ მის ასეთ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ სურს მაჩუ-პიკჩუდან და მის შემოგარენიდან



შეგროვებულ ყველა ნივთს ერთ ადგილას, ქალაქ კუსკოში ჯერ აუშენებელ მუზეუმში, მოუყაროს თავი. ამ მუზეუმის მშენებლობის დასრულება 2011 წლისათვის იგეგმება, ამ წელს მაჩუ-პიკჩუს "აღმოჩენილი" ასი წლისთავს იზეიმებენ.

იელის უნივერსიტეტი თანახმაა საკუთარი კოლექციიდან 5 ათასი ნივთი დააბრუნოს. უნივერსიტეტმა მოადგე მხარეს პერუს ქალაქებში რეგულარული გამოფენების გამართვა შესთავაზა. თუმცა, ამ შეთავაზებამ პერუს ხელისუფლება არ დააკმაყოფილა. მისი ვარაუდით იელის უნივერსიტეტის კოლექციაში ინკების ხელოვნების, დაახლოებით, 45 ათასი ნივთი ინახება. ამ დროისათვის პერუს ხელისუფლება აპირებს უელის უნივერსიტეტს სასამართლოში უჩივლოს.

უნივერსიტეტის კოლექციის ლეგიტიმურობის საკითხი დიდი ხანია გაცხარებულ კამათს იწვევს. 1981 წელს პერუსა და აშშ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პერუსთვის ამერიკის ტერიტორიაზე მოხვედ-

რილი კულტურული ფასეულობების დაბრუნების შესახებ, თუმცა, ეს შეთანხმება მხოლოდ იმ ნივთებზე ვრცელდებოდა, რომლებიც აშშ-ში შეთანხმების შემდეგ აღმოჩნდა. ასე რომ, ჰაირემ ბინგემის კოლექცია არაკანონიერად მითვისებულად არ ითვლება. ამასთან, მისი პერუსადმი გატანა, თავის დროზე, იმ კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც პერუსში XX საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა. ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა ხელს არ აძლევს პერუსელებს, რომლებიც თავიანთი უძველესი კულტურით ამაყობენ. შესაბამისად,

ჩნდება ორი კითხვა: რამდენად სამართლიანია კანონიერად მოპოვებული ფასეულობების სასამართლოს ძალით მოითხოვო და სამართლიანი თუ არა არ დააბრუნო სხვა ეროვნების კულტურული ფასეულობები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თითოეულ მხარეს მოუწევს. ვინ შეძლებს ამ სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლას, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

# ვალსი "ოსკართან"

## გაირკვა ანიმაციური ფილმის ნომინაციის კანდიდატების ჩამონათვალი

ამერიკის კინოაკადემიამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა იმ სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების ჩამონათვალი, რომლებსაც აქვთ შანსი საუკეთესო ანიმაციური მოხდენენ. უკვე გამოიკვეთა ფავორიტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ალბათ ზედმეტი წვალების გარეშე მოხვდებიან ნომინაციაში. ასეთთა შორისაა სტუდია "დისნეისა" და "პიქსარის" ერთობლივი შედეგური "უოლ-ი" - საოცრად თბილი და სასაცილო ისტორია პატარა რობოტის შესახებ, რომელსაც მომავალ "ოსკარზე" გაცილებით შორსმავალი გეგმები აქვს.

"უოლ-ის" შემქმნელები უკვე აცხადებენ პრეტენზიას, რომ მათი პროდუქტი საკეთესო ანიმაციურის გარდა საუკეთესო ფილმის ნომინაციაშიც უნდა ჩასვან. ამის პრეცედენტი კი უკვე არსებობს - 1921 წელს იმავე "დისნეის" "მზეთუნახავი და ურჩხული" სწორედ საუკეთესო ფილმის ნომინაციაში ცდილობდა "ოსკარის" მოპოვებას. ამრიგად, სხვა სრულმეტრაჟიანი მულტფილმებთან შედარებით "უოლ-ის" გაცილებით მეტი შანსი აქვს შინ "ოსკარის" ოქროს ქანდაკებით დაბრუნდეს.



შესაბამის ნომინაციაში მოსახვედრად კი "უოლ-ის" გარდა სხვადასხვა ქვეყნებისა და სტუდიების მიერ მიმდინარე წელს გამოშვებული შემდეგი სრულმეტრაჟიანი ფილმები იბრძობლებენ: ძალიან სასაცილო ფილმი ლილიპუტებთან დამეგობრებულ სპილოზე "ვისი ესმის პორტონს?!", ექიმ ფრანკენშტეინ-

ის ხელქვეითზე გადაღებული ფანტაზიური კომედია "იგორი", ისტორია ყველაზე უშიშარ პანდაზე "კუნგ ფუ პანდა", ცნობილი "მადაგასკარის" მეორე ნაწილი "გაქცევა აფრიკაში", "დრაკონებზე მონადირეები", "დელო", "უცხო სხალი", "დესპეროს თავგადასავალი", "ვალსი ბაშირთან", "ბუზები

მთვარეზე", "ზეციური მანანალეზა" და "9,99 დოლარი". აღსანიშნავია, რომ ნომინაციისთვის შერჩეული ფილმების უმეტესობა 3D ანიმაციითაა გადაღებული. ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კლასიკური მულტიპლიკაცია მალე მკვდარ ფანრად იქცევა და მისი მემკვიდრეობა მხოლოდ ანდერგრაუნდში დარჩენილი მულტიპლიკატორები თუ იმუშავენ. ეს კი უკვე ფანრის კრიზისსაც ნიშნავს, რაც შარშანდელ "ოსკარზე" კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა - "პერსულისი", რომელიც მინიმალისტური, თუმცა არაჩვეულებრივი ანიმაციისა და შინაარსის მქონე ფილმია, ჯილდოს გარეშე დარჩა, გამარჯვებულად კი "პიქსარის" ციფრული "რატატუი" დაასახელეს.

ტაბლოიდები უკვე ფსონებსაც დებენ, რომელი ფილმი მოხვდება ნომინაციაში და მთავარ გათვლას, როგორც უკვე გითხარით "უოლ-იზე" აკეთებენ, თუმცა არანაკლებ ხმები აქვს "პორტონსა" და "კუნგ ფუ პანდას". ასევე ხშირად ახსენებენ "მადაგასკარ 2-ს", რომელიც ეკრანებზე გაცილებით გვიან გამოვიდა და გაქირავებაში დღემდე ინარჩუნებს მონიწივე პოზიციებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ "ვალსი ბაშირთან" ებრაული პროდუქტია. ფილმი 1982 წელს ლიბანელების მიერ ბეირუთში გახიზნული პალესტინელი დევნილების ამოფლტვის შესახებაა მოთხრობილი. ფილმი უკვე აჩვენეს კანის კინოფესტივალზე, სადაც მას ანიმაციისა და დოკუმენტური კინოს ახალი სიტყვა უწოდეს და 2008 "პერსეპოლისადაც" შეარაცხეს. აღსანიშნავია, რომ ფილმში ყველა პერსონაჟს რეალური პროტოტიპი ახმოვანებს, რაც მის დოკუმენტურობას კიდევ უფრო ამძაფრებს. ნომინაციაში მოსახვედრად ემზადება ასევე იაპონური ანიმე, მამურო ოშიის "ზეციური მანანალეზა". სხვათა შორის, ამ ფაქტმა მცირე უხერხულობა გამოიწვია, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ იაპონია წელს ჰაიაო მიაძაკის ანიმეს "პონიო ზღვის ტალღის ქიმზე" წარმოადგენდა, რომელმაც უკვე შეძლო გარკვეული წარმატების მოპოვება და წლის ყველაზე ცნობილ ანიმედ იქცა. აქვე შეგახსენებთ, რომ 2001 წელს საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი სწორედ მიაძაკის "სულელები გატაცებულნი" გახდა.





# აფიშა

17 ნოემბერი  
თეატრი

“ვერიკო”  
“ჩემი გალაკტიონი”  
დასაწყისი: 18.00

### კინო

“ამირანი”  
“სამი სახლი”  
დასაწყისი: 15.00; 17.00; 19.00; 21.30  
“მარადონა”  
დასაწყისი: 13.00; 15.30; 20.00; 22.00  
“იდიოტოკრატია”  
დასაწყისი: 17.00

### გალერეა

“ქარვასლა”  
მოდრავი ფოტოგამოფენა  
“სახლთან ახლოს”  
“ორნამენტი”  
ტიხრული მინაქრის მუდმივმოქმედი გამოფენა  
“აკადემია +”  
“ქართლი” - ფერწერა, გრაფიკა, ობიექტი  
გოგა ჯაფარიძე, კახა დემურაძე, გიორგი აფციაური  
“ბაია გალერეა”  
საუკუნე - საწყისი სივრცე  
ქართული მოდერნიზმი - ფერწერა, გრაფიკა  
“კამეა”  
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა  
ფერწერა, გრაფიკა, მინაქარი, ხის ნაკეთობები

# დარტანიანი აღმოაჩინეს?!

“თაიმის” ცნობით ფრანგი ისტორიკოსი ოდილ ბორდა ამტკიცებს, რომ მან აღმოაჩინა შარლ დე ბაც კასტელმორ დ'არტანიანის საფლავი. იმ ადამიანის განსასვენებელი, რომლის პროტოტიპიცაა ალექსანდრე დიუმას “სამი მიშკეტერის” მთავარი პერსონაჟი.

ბორდა უარყოფს მოსაზრებას დარტანიანის პარიზში დაკრძალვის შესახებ და ირწმუნება, რომ ის ჰოლანდიის ქალაქ მასტრიხტის, ახლანდელი ვოლდერის სიახლოვეს არის დაკრძალული. ასეთ დასკვნამდე ის ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე მივიდა.

ცნობილია რომ დარტანიანი მართლაც გადაიცვალა 1673 წლის 25 ივნისს, ჰოლანდია-საფრანგეთის ომის დროს (1672-1678 წწ) მასტრიხტის ციხეზე შეტევისას. ბორდას მტკიცებით, მაშინ ძალიან ცხელი იყო, ცხედრის გადასვენება საფრანგეთში არ იყო სასურველი, მისი ბალზამირება კი შენაერთს ძვირი დაუჯდებოდა.



ამას გარდა, ბორდას ვერსიის სასარგებლოდ, ის ფაქტიც მუშაობს, რომ მაშინ ომში დაღუპულები მართლაც ჰოლანდიური ქალაქის სიახლოვეს, კათოლიკურ ეკლესიაში არიან დაკრძალულნი. ბორდა დიდხანს ეძებდა დარტანიანის საფლავს საფრანგეთში, თუმცა სა-

ფრანგეთის გმირის კვალს სამშობლოში ვერც მან და ვერც არაერთმა მეცნიერმა და მადიებელმა ვერ მიაგნეს.

დღეიდან ოდილ ბორდა შეეცდება საფრანგეთის ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიას ჩამოართვას უფლება, რომ მასტრიხტის სიახლოვეს,

პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში გათხრები დაიწყოს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხოლოდ 50% იმისა, რომ დარტანიანის ნაშთებს მიაკვლივენ, მეცნიერი გათხრების წამოწყების იდეით ამკარად შეპყრობილია.

შარლ დე ბაც დე კასტელმორ დ'არტანიანი დაიბადა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, გასკონიაში. 20 წლის ასაკში ის უკვე სამეფო მუშაკეტერების რიგებში იდგა და უკვე 1658 წელს მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა.

მისი გარდაცვალების შემდეგ საფრანგეთში 1700 წელს გამოჩნდა წიგნი “ბატონი დ'არტანიანის მემუარები”. ამ წიგნის ავტორი გახლდათ იმ დროისთვის ცნობილი ფრანგი მწერალი გასენ კუტილ დე სანდრა. ამ მემუარების საფუძველზე მამა დიუმამ დაწერა რომანი “სამი მიშკეტერი” და ასევე სხვა რომანები, როგორც ამ პირველი გაგრძელებანი: “ოცი წლის შემდეგ” და “ვიკონტ დე ბრაჟელონი”.

# ჰერსტი არ გაიყიდა - რა ხდება?

## „დოკუმენტებიდან გამოსახულებამდე“

ვიდეორტი, აკვარელი, ფერწერული სერია და ოჯახის ალბომი...

20 ნოემბერს 17:00 სთ-ზე თბილისის ისტორიის მუზეუმში იხსნება XX საუკუნის 80-იანი წლების ცნობილი ქართველი მხატვრის კოკა რამიშვილის გამოფენა „დოკუმენტებიდან გამოსახულებამდე“.

გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

კოკა რამიშვილი დაიბადა 1956 წელს, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, შემდეგ სწავლა განაგრძო ტალინში დიზაინის ინსტიტუტში და მოგვიანებით პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

თბილისის ისტორიის მუზეუმში მისი პირველი გამოფენა 1987 წელს შედგა და მას მერე აქტიურად იღებდა მონაწილეობას თითქმის ყველა წამყვან, თანამედროვე ხელოვნების გამოფენაში.

1999 წლიდან კოკა რამიშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, სადაც მიჰყავს მოძრავი გამოსახულების კურსი ჟენევის სამხატვრო აკადემიაში.

თბილისის ისტორიის მუზეუმში ექსპონირებული იქნება გამოფენა „დოკუმენტებიდან გამოსახულებამდე“, რომელიც ოთხი ეტაპისაგან შედგება:

ვიდეორტი, წარმოდგენილია 2000-2007 წლებში შექმნილი კოკა რამიშვილის 12 ნამუშევარი. აღნიშნული ვიდეორტი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალ ქალაქში: ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, პრაღა, ჰელსინკი, ამსტერდამი, ბერლინი.

აკვარელი, წარმოდგენილია 200 ნამუშევარი სახელწოდებით „კასპარ ჰაუზერის ამბავი“. აკვარელით შესრულებული კომპოზიციები სხვადასხვა შეგრძნებებსა და ფსიქოლოგიური განწყობის მოტივს წარმოადგენს. ეს ნამუშევრები მომენტალური ფოტოს კადრების მსგავსია და ფრაგმენტულად აჩვენებს სხეულის მოძრაობას და ცარიელ სივრცეში დარჩენილ ადამიანებს.

ფერწერული სერია სახელწოდებით „სხვა წიგნი“. ეს არის ნამუშევრების სერია, რომელიც აგებულია ორგანიზაციების თანამედროვე ფერწერის პრინციპზე. თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსის გრინბერგის თეორიიდან გამომდინარე თანამედროვე ფერწერა არის სიბრტყე და არა სივრცე.

ფოტო სერია „ოჯახის ალბომი“, რომელიც შექმნილია 2004-2007 წლებში.

კოკა რამიშვილი 80-იანი წლების ერთ-ერთ წამყვან, თანამედროვე მხატვრად ითვლება. ბოლო 15 წლის განმავლობაში მისი შემოქმედება იყო ხიდი ევროპისა და საქართველოს კულტურებს შორის.



იც მის ცხოვრებაში მოცემულ ეტაპზე კარდინალურ მნიშვნელობას იძენს. „Illustrado“ მიგელ სიხუკოს პირველი რომანია, რომელიც გამოიცა. აღნიშნული ტექსტი ფილიპინების ბოლო 150 წელს მოიცავს და ძალიან აქტუალურ საკითხებს ეხება. როცა ავტორს პრემიით აჯილდოვებდნენ თქვეს, რომ “ეს რომანი არაჩვეულებრივად

არის ჩაფიქრებული და უფრო უკეთესად განხორციელებული”.

მიგელ სიხუკო მეორე მწერალია, რომელმაც “აზიური ბუკერი” დაიმსახურა. აღნიშნული პრემია გადაეცემათ ავტორებს აზიიდან, რომელთა ნაწარმოებებიც უკვე თარგმნილია ინგლისურ ენაზე, თუმცა უცხო ენაზე ჯერ არ გახლავთ

გამოცემული. გამარჯვებულებს გადასცემენ 10 ათას ამერიკულ დოლარს და აქვე აჯილდოებენ ინგლისურად მთარგმნელსაც, ოღონდაც ამ უკანასკნელს 3 ათასი დოლარით.

პირველად “აზიური ბუკერი” 2007 წელს გაიცა და მისი ლაურეატი გახდა ჩინელი მწერალი ციან რონგი რომანისთვის “მგლის ტოტემი”.

## ლადი და... Ladies' and...

პოლი და რაისკვი!

აღ. ყაზბეგის 20



# სპორტი

## „ვიტ ჯორჯია“ - პირველი წრის გამარჯვებული



დინამოელებმა „ბორჯომის“ კარი ხუტყერ აიღეს.

### მიხეილ აბიოპილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამ ნათელი გახადა, რომ მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ყველა წინამორბედზე გაცილებით დაძაბული, ძნელად პროგნოზირებადი იქნება და დიდია ალბათობა, რომ გამარჯვებული ბოლო ტურამდე ვერ გამოვლინდეს. ყოველ შემთხვევაში, წინა ჩემპიონატებში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისეთ შუალედურ ფინიშზე, როგორც წრის დასრულება, პირველ და მეოთხე პოზიციებზე მყოფ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ 3-ს შეადგენდეს, ხოლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსს ერთბაშად 6-7 გუნდი ინარჩუნებდეს. პირველ და ბოლოსწინა ადგილებს შორის სხვაობა კი სულ რაღაც 11 ქულაა. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ არ ჩავთვლით ცხინვალის „სპარტაკს“, აუტსაიდერთა ჯგუფში არ მოიძებნება გუნდი, რომელსაც ლიდერთა ჯგუფის ერთი ან ორი წარმომადგენელი არ ჰყავდეს დამარცხებული. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოს ჩემპიონატში გარიგებული თამაშების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, რაც, უეჭველია, გუნდების სათამაშო ოსტატიობის თვალსაზრისით ზრდის გათვალისწინებითაც, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატისადმი გულშემატკივრების ინტერესს საგრძნობლად გააღვივებს.

წრის ბოლო, მე-11 ტური ყველა წინა ტურისგან იმით გამოირჩა, რომ არც ერთი სენსაციური ან მეტ-ნაკლებად მოუ-

ლოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა. ფავორიტებმა დამაჯერებლად მოიგეს და სატურნირო პოზიციები განიმტკიცეს. სამწინააღიანი ფინიშის პირველი ეტაპი (შეგახსენებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, მიმდინარე გათამაშება სამ წრედ ჩატარდება) პირველმა 21 ქულით თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ გადაკვეთა და ლიდერის ვირტუალური „ყვითელი მანქანა“ მოიგო. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ვეტერინარებს იმდენად მჭიდრო ჯგუფში მიჰყვება კვალში, რომ მისი ლიდერობა უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა, ვიდრე მატერიალური: მეორე ადგილზე მყოფი „ზესტაფონი“ ქულით, ხოლო „დინამო“ ორი ქულით ჩამორჩება. სწორედ ამ სამეულმა იზიარა პირველი წრის ბოლო ტურში გამარჯვება, რომელთაგან ყველაზე მეტად „ზესტაფონის“ წარმატებაა აღსანიშნავი.

მე-11 ტურის ცენტრალური დაპირისპირება სწორედ დასავლეთის მთავარ საფეხბურთო ცენტრად ქცეულ ზესტაფონში გაიმართა, სადაც თემურ მახარაძის გუნდმა უმასპინძლა იმ მომენტისთვის ლიდერს, თბილისის „ლოკომოტივს“, რომელთანაც ერთქულიანი დეფიციტი ჰქონდა აღმოსავლურელი. სულ რაღაც ორი ტურით ადრე ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა 7-ს შეადგენდა და, ყველასთვის მოულოდნელად, ბრწყინვალე სტარტალბეულ „ლოკომოტივს“, რომელმაც ტურნირის დებიუტში ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“, დაღმასვლა დაენწყო, რაც ორ საშინაო მარცხში გამოიხატა. ამას ლოკომოტივე-

ლებმა სათასო ასპარეზზე ასევე საკუთარ მოედანზე განცდილი დამარცხებაც დაუმატეს და ყველა გიორგი კიკნაძის გუნდში დანყებულ კრიზისზე ალაპარაკდა. შეკითხვაზე, თუ რამდენად სერიოზული იყო ეს კრიზისი, პასუხი სწორედ ზესტაფონურ შეხვედრას უნდა გაეცა.

წინდან გეტყვით, რომ „ლოკომოტივმა“ კიდევ ერთი დამარცხება იწვნია, თუმცა, ამჯერად ამ მარცხს არაერთი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზიც ახლდა. ჯერ ერთი, ზესტაფონში ქულის აღება ისეთ გუნდებსაც უჭირთ, როგორც, ვთქვათ, „დინამო“. ამას გარდა, სწორედ ამ თამაშის წინ დედაქალაქელებს ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი გამოაკლდა, რომელთა სრულფასოვნად შეცვლა ვერ მოხერხდა. ამას გარდა, „ლოკომოტივმა“ საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია მასპინძელთა გუნდს და, გამართლების შემთხვევაში, ქულას უეჭველად აიღებდა. თანაბარი ბრძოლის პირობებში ანგარიში „ზესტაფონმა“ გახსნა: მე-17 წუთზე ბენაშვილ-გოციროძის კომბინაცია გელაშვილმა თავური დარტყმით დააგვირგვინა. სტუმრებმა ადეკვატური პასუხი არ დაავიანეს: 25-ე წუთზე ცქიტვიშვილის გადაცემის შემდეგ კახელიშვილმა ორ მცველსა და მეკარესთან ერთად მოლაპარაკებების ბურთი კარში შეაგორა. პირველი ტაიმი საყაიმო ანგარიშით დასრულდა.

მეორე ნახევარში რატი ალექსიძეს გოლის გატანის ბრწყინვალე შანსი მიეცა, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან მისი დარტყმული კვასხვაძემ მო-

იგვრია. ეს მომენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში შეცვლაზე შემოსული იონანის უზუსტესი პასი კამერუნელმა ჩასემმა „შეირგო“ და კარიდან სამიოდ მეტრში მყოფმა თავური დარტყმით შანსი არ დაუტოვა ნაკრების პირველ მეკარე ლომიას. დარჩენილ დროში კიდევ ერთი გოლი გავიდა, თუმცა, ეს გოლი მხოლოდ სტატისტიკის მოყვარულთათვის იყო მნიშვნელოვანი. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე 40 მეტრიდან ცარიელ კარში დაუშვილის დარტყმულმა მიზანს მიაღწია.

„ვიტ ჯორჯიამ“ „მგლების“ დამარცხება კვარაცხელიას „დუბლისა“ და ლიპარტიას გოლის წყალობით მოახერხა. თბილისის „დინამომ“ კი „ბორჯომს“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. სპასოვიჩიმა და ოდიკაძემ 2-2 გოლი ჩაინერეს აქტივში, ერთი გოლიც ნერგაძის ანგარიშზეა. ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ შეხვედრაში ექსპერიმენტი „ოლიმპი“ ასევე ექსპერიმენტი „სიონს“ უგოლოდ დაუზავდა.

### მე-11 ტური

დინამო - ბორჯომი	.....	5:0
ვიტ ჯორჯია - მგლები	.....	3:0
ზესტაფონი - ლოკომოტივი	.....	3:1
ოლიმპი - სიონი	.....	0:0
მესხეთი - სპარტაკი	.....	1:0

ვიტ ჯორჯია	10	6	3	1	15-7	21
ზესტაფონი	10	6	2	2	13-6	20
დინამო	10	6	1	3	20-10	19
ლოკომოტივი	10	6	0	3	13-6	18
სიონი	10	3	5	2	9-6	14
მგლები	10	4	0	6	10-12	12
ოლიმპი	10	2	6	2	7-7	12
მესხეთი	10	3	3	4	9-12	12
გაგრა	10	3	2	5	10-15	11
ბორჯომი	10	2	4	4	10-19	10
სპარტაკი	10	1	0	9	6-20	3

**მოურიჩიო კრესპოს გაშვების წინააღმდეგი არ არის**

იტალიური „ინტერის“ პორტუგალიელი მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურიჩიო წინააღმდეგი არ იქნება, თუ კლუბის ხელმძღვანელობას არგენტინელი თავდასხმელის ერნან კრესპოს მადრიდის „რეალში“ გაშვება მოუხდება.

მადრიდელებს შეტყვის ერთ-ერთი ლიდერი, ჰოლანდიელი რუდ ვან ნისტელროი პრაქტიკულად სეზონის ბოლომდე გამოაკლდათ. „სამეფო კლუბი“ ნისტელროის შემცვლელს ეძებს და ერთ-ერთ კანდიდატად 33 წლის არგენტინელ ფეხბურთელსაც განიხილავს.

„ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ინტერესდება კრესპოთი ისეთი კლუბი, როგორც „რეალი“. კრესპო ადვილად შეცვლის იმ დონის მოთამაშეს, როგორც ვან ნისტელროია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრესპოს ჩემპიონთა ლიგაშიც შეეძლება თავის გამოჩენა. პრინციპში, ერნანის გამოყენება „ინტერშიც“ შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ მე გუნდში 29 მაღალი დონის მოთამაშე მყავს, ეს კი ძალიან ბევრია“, - ამბობს კრესპო.

კრესპო „ინტერში“ 2006 წელს გადავიდა და 49 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში მან მილანური კლუბის რიგებში სულ 3 თამაში ჩაატარა და გოლი არ გაუტანია. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში კრესპომ 1995-2008 წლებში 65 შეხვედრა ჩაატარა და 34-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

**„იუვენტუსი“ ამაურის არ თმობს**

მადრიდის „რეალმა“ ტურინის „იუვენტუსს“ თავდასხმელ კარვალთა ამაურის შექენის წინადადებით მიმართა, თუმცა იტალიელებმა შეთავაზებას უარით უპასუხეს. მადრიდელები მზად იყვნენ, ბრაზილიელის სანაცვლოდ 42,6 მილიონი ფუნტი გადაეხადათ.

ეს თანხა ორჯერ აღემატება იმას, რომელიც „იუვენტუსმა“ „პალერმოს“ გასულ ზაფხულს ფეხბურთელის სანაცვლოდ გადაუხადა, თუმცა ტურინელები ვერც ასეთმა ფინანსურმა სარგებელმა მოხიბლა. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ამაურის შექენა „რეალს“ და „მილანს“ სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა „იუვენტუსზე“ შეაჩერა არჩევანი.

„ბებერ ქალბატონში“ გადასვლის შემდეგ ამაურიმ ტურინელთა მასიურით 12 თამაში ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა.

**ფრანკოს „ატლეტიკოში“ დარჩენა უნდა**

მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელმა მეკარემ ლეო ფრანკომ ესპანურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა.

ფრანკოს მადრიდელებთან კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება და მისმა მენეჯერმა კლუბის ხელმძღვანელობასთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება უკვე წამოიწყო.

31 წლის არგენტინელი გოლიკეპრი „ატლეტიკოში“ 2004 წლიდან გამოდის და 118 მატჩი ჩაატარა. საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსებას ის 2003 წლიდან იცავს და განვლილ პერიოდში მხოლოდ 4 თამაში ჩაატარა.

**ოქტომბერში ლამპარდმა ისახელა თავი**

ინგლისის „ჩელსის“ ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი ოქტომბერში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

გასულ თვეში 30 წლის ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონატში ოთხი თამაში ჩაატარა, რომელთაგან „ჩელსიმ“ სამი მოიგო, ხოლო ლამპარდმა 2 გოლი გაიტანა.

მსგავსი ჯილდო ინგლისელმა ნახევარმცველმა სამი წლის წინ მოიპოვა.

ლამპარდი ლონდონურ კლუბში 2001 წლიდან გამოდის და გუნდის რიგებში ნათამაშებ 258 მატჩში 76-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

ინგლისის ეროვნული გუნდის ღირსებას ის 1999 წლიდან იცავს და 66 შეხვედრაში საკუთარ ანგარიშზე 14 ბურთი ჩაინერა.



### ჰიუზმა ელანო დასაჯა

ინგლისის "მანჩესტერ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა 50 000 ფუნტით დააჯარიმა ბრაზილიელი ნახევარმცველი ელანო, რაც ფეხბურთელის ერთი კვირის ხელფასს შეადგენს.

ჰიუზმა მას შემდეგ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რაც პრემიერლიგის მე-12 ტურში "ტოტენჰემთან" 1:2 ნაგების შემდეგ ელანომ მწვრთნელი იმის გამო გააკრიტიკა, რომ მოედანზე გამოსვლის საშუალება არ მიეცა. ბრაზილიელი მანჩესტერელთა გუნდში 2007 წლიდან თამაშობს და 44 შეხვედრაში 14-ჯერ აიღო მეტოქის კარი. საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსებას ელანო 2004 წლიდან იცავს და 32 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

### "კაჭკაჭებს" გივენი არ ეთმობათ

ინგლისის "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის ჯო კინიერის თქმით, გუნდის ირლანდიელი მეკარე შეი გივენი, რომლის მიმართ ინტერესს "ტოტენჰემი" იჩენს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კლუბს არ დატოვებს.

"შემიძლია ჰარი რედნაპს დრო და ფული დავუზოგო, რადგან ვურჩევ გივენის თაობაზე ჩვენთან არ დარეკოს. "ნიუკასლში" ახალი გუნდის ჩამოყალიბება გვსურს და, აქედან გამომდინარე, გაყიდვის ნაცვლად, კარგი ფეხბურთელები უნდა შევიძინოთ. ვერ გავიგე, რატომ უნდა გადავიდეს ის "ტოტენჰემში"? ჩვენ ხომ უკეთესი გუნდი გვყავს. შეი გივენი "ნიუკასლისთვის" ერთობ საჭირო ფიგურაა. ის მაგონებს პატ ჯენინგსს, რომელიც "ტოტენჰემის" კარს იმ პერიოდში იცავდა, როდესაც ლონდონელთა რიგებში გამოვიდოდი," - განაცხადა კინიერმა.

გივენი "ნიუკასლში" 1997 წლიდან გამოდის და გუნდის რიგებში 344 მატჩში ჩაატარა.

32 წლის მეკარე ირლანდიის ეროვნული ნაკრების ღირსებას 1996 წლიდან იცავს. განვლილ პერიოდში 90 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

### ლიპიმ "იუვენტუსის" წარმატების მიზეზი ახსნა

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მარჩელო ლიპის აზრით, ტურინის "იუვენტუსს" გამარჯვებულის უნიკალური ფსიქოლოგია აქვს, რაც გუნდს კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და ტიტულების მოპოვებაში ძალიან ეხმარება.

"იუვენტუსი" მტკიცე ხასიათსა და გამარჯვებულის უნიკალურ მენტალიტეტს ფლობს. სწორედ ეს თვისება უწყობს ხელს გუნდს დიდი ხნის განმავლობაში წამყვან როლებზე იყოს. ტურინელებს ნებისმიერი მძიმე ვითარებიდან გამოსვლა შეუძლიათ. დარწმუნებული ვარ, ისეთი ატმოსფერო, როგორიც "იუვენტუსის" სანვრთნელ ბაზაზე სუფევს, არსად არ არის," - აღნიშნა "სკუადრა აძურას" თავკაცმა.

ლიპის ხელმძღვანელობით "იუვენტუსი" ხუთჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ხოლო ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ტურინელებმა თითოჯერ მოიპოვეს საკონტინენტთაშორისო თასი და ევროპის სუპერთასი. გარდა ამისა, მან გუნდს ოთხჯერ იტალიის თასზე გაამარჯვებინა.

### პლატინი ევროკავშირთან ურთიერთობას აგვარებს

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი ჩეხეთს ეწვია და ამით ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ვიზიტი დაასრულა. პრაღაში ის ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრ ვონდროს შეხვდა და მასთან ევროკავშირის კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების ის პუნქტები განიხილა, რომლებიც ფეხბურთს ეხება.

მომავალი წლის იანვრიდან, ექვსი თვის ვადით, ევროკავშირის თავმჯდომარე სწორედ ჩეხეთი იქნება.

როგორც უეფას ოფიციალური საიტი იუწყება, პლატინიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მუშახელის შეზღუდვად გადაადგილების საკითხში შეტანილ უნდა იქნეს პუნქტი, რომელიც ფეხბურთელებს გარკვეულ შეზღუდვებს დაუწესებს.

"ჩვენი მიზანია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობაში ფეხბურთისთვის განსაკუთრებულ სტატუსს მივალწიოთ. უნდა დავიცვათ პატარა კლუბები და ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ძალიან ადრე მიდიან საზღვარგარეთ. ყველამ უნდა შევიგნოს, რომ ფეხბურთელი საქონელი არ არის," - განაცხადა მიშელ პლატინიმ.

### ჭოვინკო კმაყოფილია

ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველი სებასტიან ჯოვინკო, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მას ძირითად შემადგენლობაში ადგილს არ ანდობს, იტალიურ კლუბში საკუთარი როლით კმაყოფილია.

"გუნდში ბედნიერი ვარ. რაღა თქმა უნდა, გული მწყდება ასე ცოტას რომ ვთამაშობ, თუმცა, რანიერის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, თანაც, დღე პიერო იდეალურ ფორმაშია. მე და ალესანდრო კონკურენტები არ ვართ. ძნელია მასავით ითამაშო, მაგრამ ვეცდები. ალესანდროს კარგად დავაკვირდები და ვეცდები მისგან ბევრი რამ ვისწავლო," - ამბობს ჯოვინკო.

# „ატლანტამ“ ზედიზედ მესამედ წააგო



ტრავისის გამო ზაზამ "ნეტსთან" საშინაო მატჩი გამოგოვა.

NBA-ს რეგულარული სეზონი კარგად დაიწყო "ატლანტამ", თუმცა ზედიზედ მოგებულ ექვს მატჩს "ქორებმა" ასევე ზედიზედ სამი მატჩი მიაყოლეს. ჯორჯიელთა გამარჯვებათა სერია, როგორც იცით, ბოსტონში შეწყდა, სადაც ზაზა ფაჩულია და მისი თანაგუნდელები ერთი ქულით დამარცხდნენ, შაბათ-კვირას კი "ატლანტამ" ორი მატჩი გამართა "ნიუჯერსი ნეტსთან" და, ყველასთვის მოულოდნელად, ორივე დათმო.

შაბათის შეხვედრას "ნიუჯერსიმ" უმასპინძლა. მატჩი დაძაბული გამოდგა. სამი მეოთხედის განმავლობაში მოედანზე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. გადამწყვეტი, მეოთხე მეოთხედის წინ ატლანტელები ერთი ქულით იგებდნენ. ბოლო, მეოთხე მეოთხედში კი ვუდსონის შეგირდებმა პირწმინდად ჩააგდეს თამაში და საბოლოოდ შეხვედრა ანგარიშით 108:115 დათმეს.

ზაზა ფაჩულიამ ეს მატჩი ძირითად ხუთეულში დაიწყო. ქართველმა ცენტრმა 12 წუთი ითამაშა, თავის გუნდს 4 ქულა შესძინა და ორჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ზაზას კონკურენტმა ძირითადი ცენტრის პოზიციაზე ასევე ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. ალ ჰარფორდმა მისთვის განკუთვნილ 35 წუთში მხოლოდ ექვსი ქულა შესძინა გუნდს და 11-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. 32 ქულით ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო ჯონსონი, თუმცა მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

კვირას გუნდებმა ატლანტამ, "ფილის ცენტრში" გადანიაცვლეს. ამჯერად ნიუჯერსელთა უპირატესობა მთელი

მატჩის განმავლობაში აშკარა იყო და "ქორები" ანგარიშით 107:119 დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში ზაზას საერთოდ არ უთამაშია. ქართველმა ცენტრმა ჯერ კიდევ "ბოსტონთან"

დაპირისპირებაში მიიღო ტრავმა და "ნეტსთან" პირველი შეხვედრა ტრავმირებული ხელით ითამაშა, განმეორებით მატჩში კი ტრავმამ ქართველს თამაშის საშუალება არ მისცა.

აღმოსავლეთ კონფერენცია			
ატლანტიკის დივიზიონი			
ბოსტონი	9	2	.818
ნიუ იორკი	6	3	.667
ფილადელფია	5	5	.500
ტორონტო	4	4	.500
ნიუ ჯერსი	4	5	.444

ცენტრალური დივიზიონი			
კლივლენდი	8	2	.800
დეტროიტი	7	2	.778
ჩიკაგო	5	5	.500
მილუოკი	5	6	.455
ინდიანა	4	5	.444

სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონი			
ატლანტა	6	3	.667
ორლანდო	6	3	.667
მაიამი	5	4	.556
შარლოტი	3	5	.375
ვაშინგტონი	1	6	.143

დასავლეთ კონფერენცია			
სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონი			
ჰიუსტონი	6	4	.600
ნიუ ორლეანი	5	4	.556
სან ანტონიო	3	5	.375
მემფისი	3	7	.300
დალასი	2	7	.222

ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონი			
იუტა	6	4	.600
პორტლანდი	6	4	.600
დენვერი	5	4	.556
მინესოტა	1	7	.125
ოკლაჰომა	1	9	.100

წყნარი ოკეანის დივიზიონი			
ლეიკერსი	7	1	.875
ფინიქსი	7	3	.700
საკრამენტო	4	6	.400
გოლდენ სტეტი	4	6	.400
კლიპერსი	1	8	.111

# კოკაი იმპერატორის თასის მოგების შანსს ინარჩუნებს



დღეს კოკაი თავის მთავარ კონკურენტს დაეჭიდება.

იაპონიაში მიმდინარე ნოემბრის ბაშოშე ეკვადორი გადალახა. ახლაც შეიძლება ითქვას, რომ სეზონის ბოლო ბაშო წარმატებულია ლევან ცაგურისთვის, რომელიც რვა ბრძოლის შემდეგ ლიდერთა ჯგუფშია და იმპერატორის თასის მოგების შანსიც აქვს. სამწუხაროდ, ცაგურის მხარი ვერ აუბა ლევან გორგაძემ. თითქმის უკვე გადაწყვეტილია, რომ ტოჩინომინი ბაშოს უარყოფითი ბალანსით დაასრულებს და რანგითაც დაქვეითდება.

ამ უქმეებზე ბაშოზე სპორტსმენებმა ორ-ორი ბრძოლა გამართეს. შაბათს კოკაი კუიმოროიამას დაუპირისპირდა და მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. კვირას კი კოკაი ტოჩინომინთან დამარცხდა. რვა დღის შემდეგ გამოცდილი ქართველი სუმოისტის აქტში 6 გამარჯვებაა. ლევანს მხოლოდ იოკოჰუნა შაკუჰო და მეშვიდე მაიგაშირა მიაბიამა ასწრებენ. რვა დღის შემდეგ მათ 7-7 გამარჯვება აქვთ.

შაბათ-კვირას იასპარეზა ტოჩინომინამაც, თუმცა თავისი გულშემატკევიარი ვერაფრით გაახარა. ახალგაზრდა ქართველი სუმოისტი ჯერ კოტომისუკისთან დამარცხდა, შემდეგ კი - ჩიოტაიკასთან. ახლა მის ანგარიშზე 7 მარცხია. თუ ტოჩინომინს ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება სურს, დარჩენილი შვიდივე ბრძოლა უნდა მოიგოს, რაც არარეალურია.

დღეს ასპარეზობის მეცხრე დღეა. მნიშვნელოვანი ბრძოლა უნდა გამართოს კოკაიმ, რომელსაც ბაშოს ლიდერი, აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა მიაბიამა უპირისპირდება. თუ ლევანი ამ ბრძოლას მოიგებს, ვირტუალურ სატურნირო ცხრილში მის წინ სავარაუდოდ მხოლოდ იოკოჰუნა შაკუჰო იქნება.

რაც შეეხება ტოჩინომინს, მას დიდი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. ქართველი თანამედროვე სუმოს საუკეთესო მეტროპოლი, იოკოჰუნა შაკუჰოს უნდა დაეჭიდოს.



# იზრაბიშოვირის ერთადერთი ნაკლი

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ინტერმა" სტუმრად "პალერმო" დაამარცხა. ჟოზე მოურინიოს გუნდმა სიცილიელები ზღაბიან იზრაბიშოვირის ორი ულამაზესი გოლის წყალობით დაამარცხა. მატჩის შემდეგ "პალერმოს" თავკაცმა ისიც კი თქვა, რომ მისი გუნდი "ინტერთან" კი არა, იზრაბიშოვირთან დაამარცხდა, ჟოზე მოურინიო კი შვედი ფორვარდის უნიკალურობაზე ალაპარაკდა და ხუმრობით მისი ერთი უარყოფითი თვისებაც გაუმხილა საზოგადოებას.

ერთადერთი ნაკლი, რომელიც იზრაბიშოვირს აქვს, ის არის, რომ მან ულამაზო გოლების გატანა არ იცის. იმისთვის, რომ სრულყოფილი ფეხბურთელი გახდეს, რამდენიმე უაზრო გოლი აქვს გასატანი, მაგალითად, რიკოშეტით ან, უბრალოდ, ბურთის კარში შეგვრებით. პირდაპირ მაკვირვებს ზღაბიანი ყველა გოლი, რომელიც კი გაიტანა, სილამაზით ერთმანეთს ჯობს, - განაცხადა მოურინიომ.

თავად იზრაბიშოვირი ფრანგულ "ეკიპთან" საუბარში ამბობს, რომ "ოქროს ბურთს" იმსახურებს, მაგრამ იცის, რომ ამ ტიტულს ჯერჯერობით ვერ ელირსება.



იზრაბიშოვირის "ოქროს ბურთის" მოგება უნდა.

"დარწმუნებული ვარ, "ოქროს ბურთს" ვიმსახურებ. ჩემი აზრით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს ტიტული აუცილებლად უნდა მომეგო. არც რონალდინიო მჯობია და არც კაკა. თუმცა ამ ტიტულს ისე არ მოგცემენ, თუ ჩემპიონ-

თა ლიგა არ მოიგე. ამიტომ მშვენივრად მესმის, რომ ჯერჯერობით ტიტულს ვერ ველირსები. წლეულს "ოქროს ბურთს" ალბათ კრიშტიანუ რონალდუს მისცემენ და ეს ნაწილობრივ სამართლიანიც იქნება. თუმცა ფაქტია, რომ

მან ევროპის ჩემპიონატი ჩააგდო. შესაძლოა საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს რონალდუს მეტად კასილიასი იმსახურებდეს, მაგრამ მასაც არ გაუმართლა - მეკარეა", - განაცხადა ზღაბიან იზრაბიშოვირმა.

## ბერბატოვი "ტოტენჰემს" გულშემატკივრობს

ბულგარეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი, რომელიც გასულ სეზონში ლონდონის "ტოტენჰემში" გამოდიოდა, ყოფილი კლუბის მიმართ არც ახლა გახლავთ გულგრილი.

"ტოტენჰემის" მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა მექნება. სწორედ ამ კლუბში გავიგე რა არის ინგლისური ფეხბურთი. ლონდონელთა ყველა თამაშს ვუყურებ და ყოფილი გუნდის შესახებ ცუდი არაფერი მეთქმის. გაკვირვებული ვიყავი, როდესაც ხუანდუ რამოსის ხელმძღვანელობით "ტოტენჰემმა" ჩემპიონატი ასეთი ცუდი სტარტი აიღო. თუმცა, რენდის მოსვლის შემდეგ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა, რაც ნამდვილად მახარებს, - განაცხადა ბერბატოვმა.

27 წლის ბულგარელი ფორვარდი "ტოტენჰემში" 2006-2008 წლებში თამაშობდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 70 შეხვედრაში 27 გოლი გაიტანა.

საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ის 1999 წლიდან გამოდის და 64 მატჩში 41-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

## ლავესს "ჩელსიში" არ უნდა

იტალიური "ნაპოლის" არგენტინელი თავდამსხმელი ეზეკილ ლავესი აცხადებს, რომ ინგლისური "ჩელსის" მხრიდან ინტერესის შესახებ იცის, თუმცა "ნაპოლიდან" ნასვლა არ უნდა.

"მე დარჩენა მინდა! კარგად ვიცი, რომ "ჩელსის" სკაუტები მაკვირდებიან. იმედი მაქვს, იტალიური კლუბს ჩემი გაშვება არ უნდა, მე კი მოხარული ვიქნები, თუ აქ დარჩენის საშუალება მომეცემა. ჩემი ოცნებაა არგენტინის ნაკრების მუდმივი ნევრი გავხდე. კარგად მესმის, რომ დაუნდობელი ბრძოლის გადატანა მომიწევს, რადგან თავდამსხმელის პოზიციაზე რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ვფიქრობ, "ნაპოლი" ამ ბრძოლის მოგებაში დამეხმარება", - განაცხადა ლავესიმ.

